პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 26 ივნისი, 1948 წ. № 126 (8170). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი სკოლა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება გერმანიის შესახებ ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებათა გამო, მიღებული 24 ივნისს ვარშავის თათბირზე (1-ლი და მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება — ერთი პარტიული ორგანიზაციის კრებების შესახებ (მე-2 გვერდი).
ს. ბერიძე — დუშეთის აჯანყება (მე-2 გვერდი).
სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის (მე-3 გვერდი).
ელიზბარ ზედგინიძე — ახალი ხევი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი სკოლა

ახლა, როცა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდა მთელი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად არის მიჩნეული, განუზომლად იზრდება პარტიული კრების, როგორც კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის, მათი ორგანიზაციულად გამოწრთობის შესანიშნავი სკოლის როლი და მნიშვნელობა.

მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებული პარტიული კრება ხელს უწყობს მთელი პარტიული და სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესებას, პარტიული ორგანიზაციის როგორც მასების პოლიტიკური ხელმძღვანელის ავტორიტეტისა და როლის ამაღლებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან შინაპარტიული მუშაობის ამ სერიოზულ უბანს. კრებებს რეგულარულად იწვევენ, მათს დღის წესრიგში აყენებენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის საკვანძო საკითხებს, კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები, დადგენილებებიც უფრო კონკრეტული და საქმიანია.

მიუხედავად ამისა, ზოგან პარტიული კრებების ჩატარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანია და რაც უფრო მალე გამოვასწორებთ ამ ნაკლოვანებებს, რაც უფრო მაღალ იდეურ დონეზე ჩავატარებთ პარტიულ კრებებს, მით უფრო მეტი გვექნება მიღწევები მუშაობაში, მით უფრო კარგად მოვაწყობთ კომუნისტების აღზრდის საქმეს.

ტიპიური ნაკლოვანებანი, რომლებიც მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში კრებების ჩატარების პრაქტიკას ახასიათებენ, ეს არის განსახილველი საკითხების ზერელედ შესწავლა და შეზღუდულობა, პარტიული კრებების აშკარა მსგავსება საწარმოო თუ სამეურნეო ხასიათის თათბირებთან, საკითხების განხილვა არა სახელმწიფოებრივი და საერთო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ცალმხრივად. საილუსტრაციოდ თელავის რაიონის რამდენიმე საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას დავასახელებთ. სოფელ ქურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში მართალია რეგულარულად იწვევენ პარტიულ კრებებს, მაგრამ ეს კრებები ძლიერ გვანან კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებს. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ აქ ღია და დახურული პარტიული კრება მხოლოდ პროცენტული შეფარდების დასაცავად იწვევა. ზოგჯერ ღია კრებაზე ისეთი ხასიათის საკითხები გამოაქვთ, რაც დახურული პარტიული კრების მსჯელობის საგანი უნდა იყოს. განსახილველი საკითხები შესწავლილია ზერელედ, კრებებზე მიღებული დადგენილებანი არაფრით არ გვანან პარტიული ორგანიზაციის დადგენილებებს. მაგალითად, 10 მაისს პარტიულ კრებაზე შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი განიხილეს. დადგენილებაში კი შემდეგი ჩასწერეს: „დაევალოს კოლმეურნეობის ყველა ბრიგადირებს, სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ გამგეობის დავალებათა შესრულების საქმეს. გაფრთხილებულ იქნენ, რომ ის ბრიგადირი, რომელიც აბუჩად აიგდებს გამგეობის დავალებას და მას არ შეასრულებს უყოყმანოდ, დასჯილი იქნება მკაცრათ, თვით მის მოხსნა და პასუხისგებაში მიცემამდე". რომ არაფერი ვთქვათ ოქმის სტილსა და ენაზე, ამ დადგენილებით პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელის როლი დაივიწყა და ადმინისტრატორობა იკისრა. პარტიული კრების ოქმებში შეხვდებით დადგენილებას იმის შესახებ, რომ მოიხსნას ამა თუ იმ რგოლის ხელმძღვანელი, დაინიშნოს ახალი ხელმძღვანელი და სხვ. აქ პარტიული კრებების მუშაობაში ნაკლებად მონაწილეობს პარტიული მასა, საკითხებს თითქმის ერთი და იგივე ამხანაგები ამზადებენ, კამათშიც ერთი და იგივენი გამოდიან. სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. თათულოვი) ზოგჯერ კრებას მხოლოდ ფორმისათვის იწვევენ. ამის ნათელსაყოფად ამა წლის 14 მარტს მოწვეულ პარტიულ კრებას დავასახელებთ. ამ დღეს კრებამ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლების საკითხი განიხილა. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი სავსებით შეუსწავლელად იქნა კრებაზე გამოტანილი, რასაც ცხადჰყოფს მიღებული დადგენილება: „დაევალოს ყველა პ/ წევრსა და პ/ კანდიდატს ხვალიდანვე მოჰკიდონ ხელი პარტისტორიის შესწავლას". ამავე დადგენილებით „დაევალა ყველა კომუნისტს" შეისწავლოს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიები, „აწარმოოს ყოველი ნომერი გაზეთების კითხვა და რომელიმე საკითხის გაურკვევლობაში მიმართონ გასარკვევად მცოდნე ადამიანებს". ცხადია, ასეთი კრება ვერავითარ აღმზრდელობითს როლს ვერ შეასრულებს და საქმესაც წინ ვერ წასწევს.

ეს და მსგავსი ნაკლოვანებანი, რომლებიც არა მარტო თელავის რაიონის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას ახასიათებს პარტიული კრებების ჩატარების საქმეში, გამოწვეულია იმით, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ შინაპარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს.

პარტიის რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა შეუნელებლად იზრუნონ პარტიული კრების აღმზრდელობითი როლის ამაღლებისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიული კრებები იწვეოდეს რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც და ამასთან ისეთ შემთხვევებშიც, როცა ამას საქმის ინტერესები მოითხოვს.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კრებისათვის საკითხების შერჩევას. პარტიული კრების დღის წესრიგში ასახვას უნდა პოულობდეს პარტიული ცხოვრებისა და სამეურნეო მუშაობის ყველა საკვანძო საკითხი. აუცილებელია აგრეთვე პარტიული ორგანიზაციის მდივანი მოეთათბიროს კომუნისტებს კრებაზე განსახილველი საკითხების გარშემო. ყური დაუგდოს მათს წინადადებებს და კრების მსჯელობის საგნად გახადოს კომუნისტების მიერ წამოყენებული საკითხები. ამასთან ყოველი საკითხი წინასწარ უნდა შევისწავლოთ, გამოვარკვიოთ ნაკლოვანებათა წარმომშობი მიზეზები და მათს განხილვას და შეფასებას სახელმწიფოებრივი ინტერესების, საერთო პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით მივუდგეთ.

რაც უფრო ულმობელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდება პარტიული კრება, მით უფრო მაღალი იქნება მისი, როგორც კომუნისტების აღზრდის უმნიშვნელოვანესი სკოლის როლი, ამიტომ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კრება ისე უნდა წარმართოს, რომ კომუნისტებს საშუალება ჰქონდეთ ამხილონ ნაკლოვანებანი, გააკრიტიკონ პარტიული ორგანიზაციის ყველა წევრი, განურჩევლად თანამდებობისა, თუ ის ცუდად მუშაობს.

პარტიული კრების მომზადებასა და ჩატარებაში პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სისტემატურად უნდა ეხმარებოდნენ პარტიის რაიონული კომიტეტები, პირველ რიგში საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებანი. საჭიროა განვუმარტოთ, ვასწავლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს თუ როგორ უნდა მოამზადონ პარტიული კრება, რა საკითხებს მიაქციონ მთავარი ყურადღება, როგორ დაუკავშირონ ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ ნაკარნახევი საკითხების განხილვა ადგილობრივ ცხოვრებას, კონკრეტულ ფაქტებს, განვუმარტოთ — როგორი უნდა იყოს პარტიული კრების გადაწყვეტილებანი.

ამასთან მთავარია ვიზრუნოთ პარტიული კრების მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. უამისოდ პარტიული კრება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ორგანიზაციის ცხოვრებაზე, ხელს ვერ შეუწყობს კომუნისტების აქტივობის ამაღლებას.

შეუნელებლად ვიზრუნოთ პარტიული კრების აღმზრდელობითი როლის ამაღლებისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ კრების გადაწყვეტილებათა განხორციელება ნამდვილად იწვევდეს პარტიული და სამეურნეო მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. მ. შვერნიკს ლენინის ორდენი გადაეცა

24 ივნისს, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ და რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ა. ვლასოვმა ლენინის** ორდენი გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. **ნ. მ. შვერნიკს**, რომელიც დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. (საქდესი).

სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება გერმანიის შესახებ ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებათა გამო, მიღებული 24 ივნისს ვარშავის თათბირზე

7 ივნისს გამოქვეყნდა კომუნიკე გერმანიის საკითხზე სამი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლონდონის თათბირის დამთავრების შესახებ. კომუნიკე შეიცავს გერმანიის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების, აგრეთვე გერმანიის დასავლეთი საზღვრების შეცვლის საკითხის შესახებ აღნიშნულ საიდუმლო თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსს, თუმცა პრესაში გამოქვეყნებული ცნობები ცხადჰყოფენ, რომ კომუნიკეში არაფერია ნათქვამი თათბირზე მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილების შესახებ.

ლონდონის თათბირის მოწვევით დარღვეულ იქნა პოტსდამის შეთანხმება, რომლის თანახმადაც გერმანიის საკითხები უნდა გადასწყვიტოს ოთხმა სახელმწიფომ — სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა,—ამასთან ამ საკითხების განხილვა დაკისრებული ჰქონდა ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს. არ შეიძლება აგრეთვე გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ სამი სახელმწიფოს ამ სეპარატულ თათბირში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ აგრეთვე ბენილუქსის (ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი) ქვეყნები, თუმცა ამ თათბირში მონაწილეობა არ მიუღიათ გერმანიის მომიჯნავე ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, აგრეთვე სხვა უშუალოდ დაინტერესებულ ქვეყნებს.

გერმანიის საკითხზე ლონდონის სეპარატული თათბირის მოწვევა იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა, რომლებმაც ეს თათბირი მოაწყეს, მიზნად დაისახეს პოტსდამის კონფერენციაზე შექმნილი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლიკვიდაცია, აგრეთვე ლიკვიდაცია გერმანიაში ოთხმხრივი საკონტროლო მექანიზმისა, რომელიც უფრო ადრე შეიქმნა ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით. გერმანიის საკითხზე ამერიკის შეერთებულ შტატებს, სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დადებულ წინანდელ შეთანხმებათა ეს დარღვევა, აგრეთვე დაინტერესებულ ქვეყნებთან კონსულტაციის შესახებ ვალდებულებათა დარღვევა ყველას თვალწინ ხდება და მისი შედეგი იქნება ჩაშლა გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის თაობაზე პოტსდამის შეთანხმებისა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ მომავალში აღარ განმეორდეს გერმანიის აგრესია.

გერმანიის შესახებ არსებულ შეთანხმებათა ეს დარღვევა შეეხება არა მარტო გერმანიის მაოკუპირებელი ოთხი სახელმწიფოს და იმ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს, რომლებმაც გერმანიის აგრესია განიცადეს, არამედ ევროპის ყველა იმ ქვეყნის ინტერესებსაც, რომლებიც ისწრაფვიან ევროპაში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისაკენ.

როგორც ცნობილია, იალტისა და პოტსდამის შეთანხმებანი მიზნად ისახავენ განიარაღებულ და ლიკვიდირებულ იქნას გერმანიის სამხედრო მრეწველობა, ძირი გამოეთხაროს გერმანიის მილიტარიზმს, დაშვებულ არ იქნას გერმანიის, როგორც აგრესიული სახელმწიფოს აღდგენა, და ამრიგად, გერმანია გადაქცეულ იქნას მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ამასთან იალტისა და პოტსდამის შეთანხმებანი ითვალისწინებენ, რომ გერმანია მოვალეა რეპარაციები გადაიხადოს და ამით, თუნდაც ნაწილობრივ, აუნაზღაუროს ზარალი იმ ქვეყნებს, რომლებიც გერმანიის აგრესიამ დააზარალა.

სამი სახელმწიფოს და ბენილუქსის ქვეყნების ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი სხვა მიზნებს ისახავენ. ეს გადაწყვეტილებანი უარჰყოფენ გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის ამოცანებს, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ სახელმწიფოდ გერმანიის გადაქცევის ამოცანებს და სრულიად არაფერს ამბობენ გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებებზე. ლონდონის გადაწყვეტილებანი იმისაკენ კი არ არის მიმართული, რომ თავიდან აცილებულ იქნას გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობა, არამედ იმისაკენ, რომ გერმანიის დასავლეთი ნაწილი და, უწინარეს ყოვლისა, რურის მძიმე მრეწველობა გადააქციონ გერმანიის სამხედრო პოტენციალის აღდგენის იარაღად, რათა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო-სტრატეგიული მიზნებისათვის გამოიყენონ იგი. გასაგებია, რომ ასეთ გეგმას არ შეუძლია ხელსაყრელი პირობები არ შეუქმნას გერმანიის აგრესიის განმეორებას.

ამასთანავე ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი ცხადჰყოფენ, თუ რა არის ნამდვილი აზრი „დასავლეთის სამხედრო კავშირისა", რომელიც დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდისა და ლუქსემბურგის მთავრობებმა ამ უკანასკნელ ხანს შექმნეს ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით. ხსენებული ხუთი სახელმწიფოს „დასავლეთის სამხედრო კავშირზე" უფრო გულახდილად ლონდონის თათბირი, რომელშიც აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობდნენ, ისახავდა არა ახალი გერმანული აგრესიის თავიდან აცილების ამოცანას, არამედ სულ სხვა მიზნებს. ლონდონის თათბირი, რომელმაც აღიარა, რომ შეუძლებელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში მთელი გერმანიის ჩაბმა, ცდილობს ამ გეგმების ბაზად გადააქციოს გერმანიის დასავლეთი ზონები და სწყვეტს ამ ზონებს დანარჩენი გერმანიისაგან.

1. ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი მიმართულია გერმანიის გათიშვისა და განაწილების **დამთავრებისაკენ.** ლონდონის თათბირმა უარი სთქვა იმაზეც კი, რომ სიტყვიერად ეღიარებინა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობა, რასაც წინათ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები აცხადებდნენ, და მოამზადა მთავრობის შექმნა დანარჩენი გერმანიისაგან ხსენებული სახელმწიფოების სეპარატული მოქმედებით გამოყოფილი გერმანიის დასავლეთი ნაწილისათვის. ამისათვის გათვალისწინებულია მოწვეულ იქნას ოკუპაციის ინგლისური, ამერიკული და ფრანგული ზონების მხარეების წარმომადგენელთაგან სპეციალურად შერჩეული დამფუძნებელი კრება, რამაც უნდა უზრუნველჰყოს, რომ გერმანიის დასავლეთი ნაწილისათვის შეიქმნას მარიონეტული მთავრობა ისეთი გერმანული ელემენტებისაგან, რომლებიც სურთ დასავლეთი ზონების საოკუპაციო ხელისუფალთ და რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამერიკისა და ინგლისის კაპიტალისტურ მონოპოლიებთან, ხოლო დაკავშირებული არ არიან გერმანელ ხალხთან და მტრულად არიან განწყობილი მისი დემოკრატიული მისწრაფებისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დაიდო გარიგება მოხდეს გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური გათიშვა და დანაწილება და დასავლეთ ზონებში შეიქმნას ისეთი სეპარატული მთავრობა, რომელიც დაუპირისპირდება გერმანელი ხალხის კანონიერ მოთხოვნას გერმანიის ერთიანობისა და დემოკრატიზაციის შესახებ.

გერმანიის პოლიტიკური გათიშვისა და დანაწილების ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ამჟამად ახალ ღონისძიებებს ახორციელებენ გერმანიის ეკონომიური გათიშვისა და დანაწილებისთვისაც. ლონდონის თათბირის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა დაიწყეს გერმანიის დასავლეთი ზონებისათვის 18 ივნისს გამოცხადებული სეპარატული ფულის რეფორმის განხორციელება, თუმცა ხსენებულ კომუნიკეში არაფერია ნათქვამი ამ საკითხზე ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებათა შესახებ. გერმანიის დასავლეთ ზონებში სეპარატული ფულის რეფორმა განხორციელდა წინააღმდეგ იმისა, რომ აშკარად საჭირო იყო მთელი გერმანიისათვის ერთიანი ფულის რეფორმა განხორციელებულიყო სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებით, როგორც ამას საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა.

ნაცვლად დღემდე არსებული ერთიანი ფულის სისტემისა და მთელი გერმანიისათვის ერთიანი მარკისა, როგორც ეს თავის დროზე დაწესდა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებით, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა სეპარატულად განახორციელეს ფულის რეფორმა და განსაკუთრებული მარკა დააწესეს გერმანიის დასავლეთი ნაწილისათვის. ეს ეკონომიური მხრივ ზოლოვს ავლებს გერმანიის დასავლეთ ნაწილსა და დანარჩენ გერმანიას შორის და მრავალ ახალ სიძნელეს ჰქმნის ეკონომიური ნგრევის ლიკვიდაციისა და გერმანიის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. გერმანიის დასავლეთ ზონებში მთელი ფულის რეფორმა ხორციელდება იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარგებლობა მსხვილ მესაკუთრეთათვის, და უწინარეს ყოვლისა, იმ გერმანული მონოპოლიებისათვის, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ამერიკისა და ბრიტანეთის კაპიტალისტურ მონოპოლიებთან, რაც ჰქმნის დასავლეთ გერმანიაში უმუშევრობის ზრდისა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფრთხეს და ახალ სიძნელეებს გამოიწვევს სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ ურთიერთობაში.

ასეთია გარდუვალი შედეგები ლონდონის თათბირისა, რომლის გადაწყვეტილებანი ამთავრებენ გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიურ გათიშვასა და დანაწილებას.

2. გერმანიის გათიშვისა და დანაწილების პოლიტიკის გატარება ჩაშლის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, ურომლისოდ არ შეიძლება ბოლო მოეღოს ომის გაჭიანურებულ მდგომარეობას და საოკუპაციო რეჟიმს ევროპაში. შემთხვევითი როდია, რომ ლონდონის თათბირის შესახებ კომუნიკეში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და სულაც არ არის მოხსენიებული საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ბენილუქსის ქვეყნების ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი ადასტურებენ, რომ ამ სახელმწიფოთა მთავრობები და მათი მახლობელი გერმანული წრეები დაინტერესებული არ არიან გერმანიის საზავო ხელშეკრულების მალე დადებით და გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების მალე გაყვანით.

მთელი გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების ნაცვლად, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა მოამზადეს გერმანიის დასავლეთ ზონაში ეგრეთწოდებული საოკუპაციო ერთიანი სტატუტის შემოღება, რის შესახებაც განზრახ ბუნდოვანი გამოთქმებით ნათქვამია ლონდონის კომუნიკეში. მაშინ, როცა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესები მოითხოვენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მალე დადებას, რამაც უნდა გაათავისუფლოს გერმანია საოკუპაციო რეჟიმისაგან, და მთლიანად დაუბრუნოს გერმანელ ხალხს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების პირობები, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს არ სურთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მალე დადება და ცდილობენ თავს მოახვიონ გერმანიის დასავლეთ ზონებს თავიანთი „საოკუპაციო სტატუტი", რათა თვითნებურად გაახანგრძლივონ გერმანიის ოკუპაცია, მრავალი წლით დააკისრონ გერმანელ მოსახლეობას საოკუპაციო ხარჯების ტვირთი. ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელისუფალთა ასეთი პოლიტიკა, რომელიც იწვევს გერმანელი მოსახლეობის დამონებას, ევროპაში მშვიდობიანი მოწესრიგების გაჭიანურებას, შეუთავსებელია გერმანიის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის ამოცანებთან, შეუთავსებელია აგრეთვე ხალხთა მისწრაფებასთან ევროპაში დემოკრატიული მშვიდობის რაც შეიძლება მალე დამყარებისადმი.

3. ლონდონის თათბირის მიერ გერმანიის დასავლეთ ზონებში სახელმწიფო წყობილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი **გამსჭვალულია ანტიდემოკრატიული სულისკვეთებით.** ეგრეთწოდებული დამფუძნებელი კრების მოწვევისა და გერმანიის კონსტიტუციის შექმნის მთელი მომზადების საქმე მინდობილი აქვთ გერმანიის ოკუპაციის დასავლეთი ზონების მხარეთა სამ სამხედრო გუბერნატორსა და პრემიერ-მინისტრებს. ამ საქმეს სრულიად ჩამოშორებული არიან დემოკრატიული პარტიები, პროფესიული კავშირები და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები — გერმანელი ხალხის ინტერესების წარმომადგენლები.

ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები მოითხოვენ, რომ ლიკვიდირებულ იქნას გერმანიის სახელმწიფო მმართველობის ჰიტლერული ცენტრალიზაცია, რომელმაც მოსპო მხარეთა ლანდტაგები და ავტონომიური მმართველობა, და აღდგენილ იქნას მმართველობის დეცენტრალიზაცია, რაც არსებობდა ჰიტლერულ რეჟიმამდე, აგრეთვე აღდგენილ იქნას ლანდტაგები და სრულიად გერმანიის ორი პალატა. ეს უზრუნველჰყოფს გერმანიის ერთიანობას და გერმანიის სახელმწიფოს გარდაქმნას მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე, იმ პირობით, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციებს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მიეცეთ.

ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი სულ სხვა მიმართულებისაა. იმ საბაბით, რომ არ დაუშვას ცენტრალიზებული რაიხის აღდგენა, ლონდონის თათბირი ცდილობს უკან დააბრუნოს გერმანია და გერმანელ ხალხს თავს მოახვიოს სახელმწიფოს ფედერალისტური წყობილება, სადაც მთავარი ხელისუფლება გადაეცემათ ცალკეულ მხარეებს, ხოლო საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობა განისაზღვრება მეორეხარისხოვანი ფუნქციებით, თუმცა ეს დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამედროვე განვითარებას ეწინააღმდეგება.

ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ეს გეგმა მიზნად ისახავს გერმანიის დანაწილებას, რაც გერმანიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსპობას იწვევს. გერმანიის ფედერალიზაციის (დაყოფა) ამ გეგმის განხორციელება გერმანიის ერთიანობის იდეას ხელთ აძლევს გერმანელ შოვინისტებსა და რევანშისტებს, რომლებიც ისწრაფვიან აღადგინონ გერმანია, როგორც მილიტარისტული და სხვა ხალხებზე გაბატონებული ქვეყანა. ამის შედეგად თავს იჩენს რევანშის იდეა, გაძლიერდება შოვინიზმი, რომლისთვისაც გერმანიაში ხელსაყრელი ნიადაგია, და შეიქმნება პირობები ახალი ბისმარკებისა და თვით ახალი ჰიტლერების გამოსაჩენად. თუ გერმანელი ხალხის მისწრაფება ერთიანი გერმანიისაკენ კვლავ გახდება იარაღად გერმანელი შოვინისტებისა და მილიტარისტების ხელში, რომლებიც უკვე ბევრჯერ წააქეზეს გერმანიის დასავლეთი ზონების საოკუპაციო ხელისუფლებმა, ეს გარდუვალად გამოიწვევს გერმანიის აგრესიის განმეორებას, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვება ევროპის ხალხებისათვის, მათ შორის გერმანელი ხალხისთვისაც,—და ეს მშვიდობისმოყვარე ხალხებს აიძულებს გააძლიერონ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

4. პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის დასავლეთ ზონებში მაოკუპირებელი სახელმწიფოები ახორციელებენ, აქეზებს გერმანელ რევიზიონისტულ ელემენტებს. ისინი კამპანიას ეწევიან გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე მიღებულ შეთანხმებათა წინააღმდეგ, გერმანიის აგრესიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გერმანიისათვის დაკისრებულ ვალდებულებათა წინააღმდეგ, გერმანელი მოსახლეობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის შესახებ მიღებულ ცნობილ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ და ცდილობენ ეს მოსახლეობა გამოიყენონ მეზობელი სახელმწიფოების მიმართ მტრული მიზნებით.

გერმანელი რევიზიონისტული ელემენტების კამპანია განსაკუთრებით მიმართულია პოლონეთ-გერმანიის საზღვრის წინააღმდეგ ოდერსა და დასავლეთ ნეისეზე, რომელიც წარმოადგენს ურყევ საზღვარს — მშვიდობის საზღვარს.

ლონდონის კონფერენცია გვერდს უვლის რევიზიონისტული კამპანიის საკითხებს და, ამრიგად, გერმანიის რეაქციულ წრეებში აქეზებს აგრესიულ ტენდენციებს. ამ პირობებში ყოველგვარი რევიზიონისტული საქმიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღება ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

5. სამი სახელმწიფოს ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი **დასავლეთ გერმანიის ეკონომიკას უმორჩილებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიზნებს** და დასავლეთ გერმანიას დამოკიდებულს ხდიან ევროპაში ეგრეთწოდებული „მარშალის გეგმის" განხორციელებაზე.

ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიის მრეწველობა და ეკონომიკის სხვა დარგები შებოჭილი იქნებიან ამერიკის, აგრეთვე ინგლისის კაპიტალისტური მონოპოლიების გეგმებით, რომლებიც ცდილობენ დაიმორჩილონ გერმანიის დასავლეთი ზონების მთელი ეკონომიური ცხოვრება და სრულებითაც არ არიან დაინტერესებული გერმანიის მშვიდობიანი მრეწველობის ნამდვილი აღდგენითა და აღმავლობით, რომელსაც ისინი უყურებენ როგორც თავიანთ კონკურენტს.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება გერმანიის შესახებ ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებათა გამო. მიღებული 24 ივნისს ვარშავის თათბირზე

(დასასრული)

ექსპანსიის ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს იმას, რომ შემდგომ გაძლიერდეს „მარშალის გეგმასთან“ დაკავშირებული ქვეყნების დამოკიდებულება აშერიკისა და ბრიტანეთის მონოპოლიებისაგან.

გერმანიის მშვიდობიანი მრეწველობის აღდგენა და განვითარება არა თუ არ ეწინააღმდეგება სხვა ხალხების ინტერესებს, არამედ კიდევაც შეუსაბამება ევროპის ეკონომიური აღდგენის ამოცანებს. გერმანელ ხალხს ფართო შესაძლებლობანი უნდა მიენიჭოს მშვიდობიანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, ვინაიდან უამისოდ გერმანია ვერ იარსებებს და ვერ შეასრულებს თავის სარეპარაციო ვალდებულებებს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გერმანიის აგრესიით დაზარალდნენ. ამასთან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დატოვებულ უნდა იქნას ოთხი სახელმწიფოს კონტროლი, რათა არ მოხდეს გერმანიის სამხედრო მრეწველობისა და გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა. „მარშალის გეგმაში“ გერმანიის დასაყენთი ზონების ეკონომიკის მოქცევა ნიშნავს გერმანიის ამ ნაწილის მოქცევას „მარშალის გეგმით“ წარმოებულ მთელი ევროპის გეთიშვაში ორ მანაკად: ერთი მხრივ, ევროპის სახელმწიფოებად, რომლებსაც „მარშალის გეგმა“ მიიღეს და ამის გამო ექვემდებარებიან ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს, და, მეორე მხრივ, ევროპის ქვეყნებად, რომლებსაც ეკუთვნიან სსრ კავშირი და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკები, რომლებიც არ ეთანხმებიან მათს საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევას.

ამრიგად, ლონდონის თათბირი არა მარტო ამთავრებს გერმანიის გათიშვისა და განაწილების გეგმის განხორციელებას, არამედ იგი, ამასთანავე, „მარშალის გეგმის“ შესაბამისად კიდევ უფრო აღრმავებს ევროპის ქვეყნების გათიშვას ურთიერთისადმი დაპირისპირებულ ბანაკებად. გასაგებია, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელებას საერთო არა აქვს რა ევროპის ხალხების ნამდვილ ინტერესებთან, ევროპის სამეურნეო აღდგენასთან. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ან პოლიტიკის განხორციელება გერმანიის დასავლეთი ზონების ეკონომიკას აყენებს უცხოეთის კაპიტალის ექსპანსიონისტური გეგემონიადმი დამორჩილების აუტანელ პირობებში, კაპიტალისა, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს დემოკრატიული გერმანიის ინტერესებს.

6. ლონდონის თათბირმა რურის საკითხზე სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყდა შეიქმნას რურის ქვანახშირის, კოქსისა და ფოლადის განაწილებისათვის კონტროლის გამწევი გასაკუთრებული ორგანო ლონდონის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან და ამ ორგანოს კონტროლიდან ამოღებულ იქნას ქვანახშირის, კოქსისა და ფოლადის წარმოება, რითაც უზრუნველყოფილ იქნება რურის მრეწველობაში ამერიკისა და ბრიტანეთის საფინანსო-სამრეწველო მონოპოლიების გაბატონებული მდგომარეობის დატოვება.

ამრიგად, რურის ქვანახშირისა და მეტალურგიული ტრესტებისა და კარტელების გერმანელი ხალხის საკუთრებად გადაცემის ნაცვლად, რასაც მოითხოვენ როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ამ თათბირის სხვა მონაწილენი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები რურის მძიმე მრეწველობას ფეოდალურად თავიანთ ხელში იტოვებენ ისე, რომ საფრანგეთმა და სსრ კავშირმა მონაწილეობა არ მიიღონ წარმოების კონტროლში და არავითარი გავლენა არ ექნეთ გერმანიის დემოკრატიულ ორგანოებაზე.

ამით ადვილდება გარიგების დადება, ერთი მხრივ, ამერიკისა და ბრიტანეთის მონოპოლიებს შორის და, მეორე მხრივ, რურის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის გერმანელ მაგნატებს შორის, რაც შესაძლებელს ხდის გერმანიის სამხედრო პოტენციალის აღდგენასა და გერმანიის ახალი აგრესიის კერის შექმნას.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთი პოლიტიკა სრულიად შეუთავსებელია მშვიდობის ინტერესებთან, გერმანელი ხალხისა და ევროპის სხვა ხალხთა ინტერესებთან. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მშვიდობისა და ევროპის ხალხთა უშიშროების სასარგებლოდ რურის საკითხის გადაწყვეტა, თუ რურის მძიმე მრეწველობა დაექვემდებარება გერმანელ ხალხს და რურის მრეწველობის პროდუქციის წარმოებასა და განაწილების გარკვეული ვადით კონტროლს გაუწევს ოთხი სახელმწიფო—სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, — რომელთაც შეუძლიათ ერთად უზრუნველყონ, რომ რურის მრეწველობა მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის განეთარდეს.

7. ყოველივე ნათქვამიდან ჩანს, **რომ ლონდონის გადაწყვეტილებანი უხეშად არღვევენ იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებს** გერმანიის ერთიანობისა და გერმანიის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის განხორციელების საკითხზე, გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსპობისა და იმ პირობათა ლიკვიდაციის საკითხზე, რომელთაც შეუძლიათ გააადვილონ გერმანიის ახალი აგრესია.

ამის გამო სრულიად უსაფუძვლოდ უნდა იქნას აღიარებული ლონდონის კომენიკეს განცხადება, რომ ლონდონის გადაწყვეტილებებმა უნდა გააადვილონ შემდეგში გერმანიის საკითხზე შეთანხმების მიღწევა ოთხ სახელმწიფოს შორის. ასეთი განცხადების უსაფუძვლობას ისიც ცხადყოფს, რომ ლონდონის გადაწყვეტილანი სავსებით ეწინააღმდეგებიან იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შლიან როგორც შეთანხმებას გერმანიისათვის ოთხმხრივი საკონტროლო მექანიზმის დაწესების შესახებ, ისე შეთანხმებას გერმანიის საკითხი ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში განხილვის შესახებ. სამი სახელმწიფოს და ბენილუქსის ქვეყნების ლონდონსის სეპარატული თათბირი და ამ სახელმწიფოთა ლონდონის სეპარატული გადაწყვეტილებანი არა თუ ვერ გააადვილებენ გერმანიის საკითხზე ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმების მიღწევას, არამედ ხალხის თვალში ნდობას უკარგავენ იმ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებშიც ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი იღებენ მონაწილეობას. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მიღებულ საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევა ვერ მოუპოვებს ნდობას ამ შეთანხმებათა დამრღვევთან.

ზემოხსენებულის გამო ჩვენ უარს ვამბობთ ვაღიაროთ ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალა და რაიმე მორალური ავტორიტეტი.

8. გერმანიის საკითხზე იალტისა და პოტსდამის შეთანხმებათა შესაბამისად სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის თავმჯდომეებად მიარნიათ, უწონარეს ყოველისა, შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

პირველი. დიდ ბრიტანეთისა, სსრ კავშირისა, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შორის შეთანხმებით განხორციელდეს ლონდონიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გერმანიის დემილიტარიზაციის დამთავრებას.

მეორე. გარკვეული ვადით დაწესდეს ოთხი სახელმწიფოს — დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლი რურის მძიმე მრეწველობისაგან, რათა განვითარდეს რურის მრეწველობის საამშენებლოდ მადგენელთაგან იმ მიზნით, რომ შეიქმნას გარანტია გერმანიის აგრესიის განმეორების წინააღმდეგ.

მეოთხე. პოტსდამის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გერმანიასთან დადიოს საბავო ხელშეკრულება, რათა ყველა სახელმწიფოს საოკუპაციო ჯარები გერმანიიდან გაყვანილ იქნან ერთი წლის ვადაში საბავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

მეხუთე. შემეშალეს ლონდონელნი გერმანიის მიერ იმ სახელმწიფოთა წინაშე თავის სარეპარაციო ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელიც გერმანიის აგრესიით დაზარალდნენ.

დასმთავრდა რკინიგზელთა საბჭოთა საქმეთა მინისტრების პარაფეზის თათბირის მუშაობა

24 ივნისს სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მუშაობა.

დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საღამოს — რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. პატარასკანი.

თათბირმა შეიმუშავა ტექსტი განცხადებისა გერმანიის საკითხზე ლონდონის გადაწყვეტილების შესახებ. განცხადების ტექსტი ცალკე ქვეყნდება.

3. მ. მოლოტოვმა დაათვალიერა ქალაქი ვარშავა

ვარშავა, 24 ივნისი. (საკვლევ). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დათვალიერა ვარშავა და ინახულა დიდი მაგისტრალის — „ალმოსავლეთ-დასავლეთის“ მშენებლობა, რომელშიც შედის ვარშავაში მიმავალი გზების რეკონსტრუქცია, კაპიტალური ხიდის აგება ვისლაზე, გვირაბი ქალაქის ტრანსპორტისათვის, ესკალატორი ქვეთაებისათვის. ვ. მ. მოლოტოვმა ინახულა ქალაქამდი მიმავალი რიგი რაიონები, კერძოდ, ფელეზიერის მუშათა რაიონი, ძველი ქალაქის ნანგრევები და გეტო, ებრეოვე გესტაპოში დაღუპულ მსხვერპლთა პატივსაცემად აგებული ძეგლი. ქალაქის დათვალიერების დროს ვ. მ. მოლოტოვს თან ახლდნენ ქალაქ ვარშავის პრეზიდენტი ბ-ნი „ტოლვინსკი, აღდგენის მინისტრი ბ-ნი კოზროვსკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი გრონმი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლუბიდეევი.

3. მ. მოლოტოვმა ინახულა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბიერუტი

ვარშავა, 24 ივნისი. (საკვლევ). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეად და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა ინახულა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი. ამხანაგ. მოლოტოვს თან ახლდა სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლუბიდეევი.

დარეგისტრირებულ იქნა საბჭოთა საქმეთა მინისტრების საბჭოს ბრძანებულებანი

ვარშავა, 24 ივნისი. (საკვლევ). დღეს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ-მინისტრმა ცირანკევიჩმა დარეგისტრირება გაუკეთა თათბირის მონაწილეთა რიგ საგარეო საქმეთა მინისტრთა პატივსაცემად. დარეგისტრირებულ იქნა ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ბ. მოლოტოვი, ალბანეთის პრეზიდიუმ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ენვერ ხოჯა, ბულგარეთის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ. ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ეფეკი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ზოლნაი, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. პატარასკანი. დარეგისტრირებულ იქნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ. ბერუტი, ვიცე პრემიერ-მინისტრი ციერკევიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი მოქალაქენი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი მარშალი კიბერსკი და პოლონეთის მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე მეცნიერებისა და ხელოვნების კომისიული მოდგენილები და დიპლომატიური კორპუსი.

დარეგისტრირებულ იქნა ბ. ბ. ბერუტის ბანკეტი, ბანკეტზე ამოიღო სიტყვა ბ. ბ. ბერუტმა.

პარტიული ცხოვრება

ერთი პარტიული ორგანიზაციის კრებების შესახებ

განცხადებაში, რომლითაც პარტიული ორგანიზაციი კრების მოწვევას იტყობინებოდა, დღის წესრიგის ასეთი საკითხები იყო ჩამოთვლილი: 1. თავმჯდომარის ინფორმაცია. 2. აგიტატორთა გამოყოფა, 3. დავალებთა განაწილება.

პირველი საკითხის გამო, რომელიც კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნა-თესვის მომდინარეობას შეეხებოდა, ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ბერუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი ბრიგადა მთელი შესაძლებლობით არ იბრძვის საგაზაფხულო ხვნა-თესვის დამთავრებისათვის. ეს იყო და ეს. თავმჯდომარეს მხედველობიდან გამორჩა საგაზაფხულო ხვნა-თესვის მნიშვნელოვანი საკითხები — როგორია გაწეული მუშაობის ხარისხი, როგორ იყენებენ მუშა საქონელს და სხვ. ასეევე არაკონკრეტული იყო მოვიდვე მოკამათის სიტყვებიც. ყველა კომუნისტი მარტო სამეურნეო საქმიანობაზე ლაპარაკობდა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ კრებაზე არაფრისმთქმელი დადგენილება მიიღეს: „თანაბმად პარტიული საერთო კრებისა გამოყოფილი იქნას ოსოოვიანის თავმჯდომარედ ვ. ბერუაშვილი და დამმარეთ იქნენ წევრებად: 1. ზალიკო გოლასაძე ბერუაშვილი, 2. კოლა დაამე ბერუაშვილი“ (ტელი დაცვლა).

დღის წესრიგში შეტანილი დანარჩენი ორი საკითხის განხილვის შესახებ კრების ოქმი არაფერს გვეუბნება.

ეს გამონაკლისი შემთხვევა რიღია. საერთოდ აქ პარტიული კრებები მოუმზადებლად და უშინაარსოდ ტარდება. იშვიათად თუ შეხვდებით, რომ კრების დღის წესრიგში ოდგეს პარტიული მუშაობის საკითხი. მიმდინარე წლის 28 მაისს პარტიული კრებაზე მოისმენეს კოლმეურნეობის სარეგიონო კომისიის თავმჯდომარის ამხ. დ. მაისურაძის მოხსენება. საკითხის განხილვას ფორმალური ხასიათი მიეცა. კრებამ დადგენილებაში არაფრსტად გიიმეორა ის, რასაც არტელის სტალინური წესდება ავალებს სარეგიონო კომისიას. ან პარტიული კრების დადგენილება — „დაადგინეს: კრება ერთხმად აღვენს მეეთოთოს კოლმეურნეობის სარეგიონო კომისიის თავმჯდომარეს მიტო მაისურაძეს რეგიონია ჩატაროს ყოველ კვარტალში თავის განსაზღვრულ ადგილებში“.

ამავე კრებაზე განხილიულ კოლმეურნეობის უფროსი მოანგარიშის მუშაობის საკითხი. პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა ამხ. დ. ბერუაშვილმა ასე განმარტა ამ საკითხის კრებაზე განხილვა:

— კოლმეურნეობის 20.100 მანეთის დებიტორები ჰყავს. იმ მიზნით, რომ ამ ნაკლის ადმოსაფხვრელად კოლმეურნეობის მოანგარიშეს გიორგი ბერუაშვილს მეტი პასუხისმგებლობა ეგრძნო, მისი საკითხი განვიხილეთ პარტიულ კრებაზე.

პარტიულმა კრებამ დადგინა: „კრება ერონხმად დგებს მეეთითოს გოგია ბერუაშვილს ადმოფხვრის დებიტორები 1 ივლისამდე“.

ეს ფია პარტიულ კრებას ეშვიათად ესწრებიან უპარტიო ამხანაგები. პარტიულმა ორგანიზაციამ დაიკიწა აქტივი, რომელს საშუალებითაც მას შეუძლია წარმატების მოპოვება.

სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობაში სრულიად უგულებელყოფილია. აქ ახლა მიმდინარეობს ნათესების დამუშავება, მოსავლის აღებისაკენ ვზადება. ეს საპუმაოები ეფრო სწრაფად და ორგანიზებულად წარმართვიდა, რომ მემიდგომეობის ბრიგადებსა, რეგოლსა და კოლმეურნეობა შორის სოციალისტური შეჯიბრება იყოს გაშლილი. კოლმეურნეობას კი ბევრი სამუშაო აქვს. მას ეთესია 170 ჰექტარი შემოდგომის პური, 120 ჰექტარი სიმინდი, 30 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, აქვს ხეხილის ბაღი და ვენახი.

პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეობის გამგეობისადმი აქტიური დახმარების ნაცვლად ადმინისტრირებს არასწორი პრაქტიკა შემოიღო. მიმდინარე წლის 26 იანვარს, როცა კოლმეურნეობაში გაჩაღებული იყო საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადება, პარტიულმა კრებამ ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი დადგენილება გამოიტანა: „დადგინეს: ერთხმად კრებამ, რომ მიეთითოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლუქსა ბერუაშვილს შეჯდეგი: 1. დანაშაულებული იქნას ბრიგადებზე და რეგიონებზე საპარსლე ნაკეთი. 2. გუთნები იქნას შერემონტაჟული ზაპასაფ (!) 4 ცალი. 3. შეიქნილი იქნას ოაკ გვაკლია ბოსტნეულის თესლი. 4. ბოსტლთან გზა იქნას გაკეთებული. 5. სათბური იქნას გაფთავისუფლებული და ფ ამ იქნას ყველის გამოყენნა“. (ტელი დაცვლია) ანელია რაიმე ვაეკეთო ამ დადგენილებიდან.

პარტიული კრება კომეწნესტების ბოლშევიკურად აღზრდის სერიოზული სკოლაა. აქ უნდა ხდებოდეს საკითხის კოლეკტიური განხილვა. ამის ნაცვლად ეს პარტიული კრება ადმინისტრირებისა და საკითხის ზერელე განხილვის საშუალება გახდა.

სტალინირის რაიონის სოფელ ბერული კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ამ ნაკლოვანებებს ადგილი არ ექნებოდა, პარტიის სტალინირის რაიკომი ჯერეოვან დახმარებას რომ უწევდეს მას.

ვ. ფელაშვილი

„კომუნისტის“ საუთარი კორესპონდენტი

საქართველოს კვების მრეწველობამ ეადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობამ ვადამდე 10 დღით ადრე, 20 ივნისისათვის 105,3 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გეგმის გადამტკიცით გამოშვებულია 23 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. ნახევარი წლის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულა ყველა დარგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გადიდებულია 48 პროცენტით.

ᲓᲘᲣᲨᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ

(30 წლისთავის გამო)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო კონტრრევოლუციურმა ბლოკმა, რომელსაც სთავეში ედგნენ ქართველი მენშევიკები. მენშევიკებმა თავიანთი ბატონობის პერიოდში ოფლაფადაც ვერ გაიუმჯობესეს საქართველოს მუშებისა და გლეხების მდგომარეობა, მათ ხელუხლებლად დატოვეს სოფლად ბატონყმური ნაშთები, რაც გლეხთა ფიზიკურ ძალადგარებას იწვევდა; რამდენჯერმე გამოსცეს „ეარნები“, „დებულებანი“ და „ვანმარტებანი“ მიწის შესახებ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დაპირება, ამით ისინი ცდილობდნენ შეენელებინათ ავარაკული მოძრაობის ტალღა, რაც ფართოდ ედებოდა საქართველოს სოფლებს. ამავე დროს საქართველოს მშრომელი მასები ბოლშევიკური პრესის საშუალებით ფართოდ ეცნობოდნენ რუსეთის საბჭოთა მთავრობის დეკრეტებს მიწის, ზაკის და მუშათა კონტროლის შესახებ, რაც მშრომელებში დიდ მხარდაჭერას პპოვებდა.

თებერვლის მუშათა გიფიცების 1918 წლის თებერვალში მოაყვა ვლეხთა რევოლუციური გამოსვლები. იგი პირველად ბორის მაზრაში დაიწყო. მალე აჯანყებამ იფეთქა ლეჩხუმის მაზრაში, შემდეგ კი ის განვითარდა სამეგრელოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და სხვაგან.

გლეხთა ამოძრავების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა. მათ გაიჩინეს შემპობა დუშეთის მაზრაშიც, ისინი ფარო აგიტაციას ეწეოდნენ შშრომელ გლეხობაში, აენთობდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ლონისძიებებს, განსაკუთრებით დეკრეტს მიწის შესახებ, რომლითაც სამეფოდ გაუქმდა მიწათმფლობელობა რუსეთში. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები უშიალო ხელმძღვანელობას უწევდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას მენშევიკური მთავრობის დასაბმობად და აპაჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ჯარისკაცებს თან მოყვათ იარაღიც. დუშეთის მაზრაში ინალეთელ-ურიდან თბილისიდანაც მიჰქონდათ იარაღი. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციაც ხშირად აგზავნიდა პროპაგანდისტებს, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ პარტიულ მუშაობას მაზრაში.

დუშეთის ყოფილ მაზრაში შედიოდა ახლანდელი მცხეთის რაიონის ნაწილი, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონები. მაზრა ესაზღვრებოდა თერგის ოლქს, სადაც იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. მენშევიკებმა ჩაჰკეტეს დარიალის კარი და დუშეთის მაზრის გლეხობას ყოველგვარი ურთიერთობა შეაწყვეტინეს ამ ოლქთან. ეს გარემოება მძიმე მდგომარეობაში აყენებდა გლეხობას, მას ალარ ეძლეოდა საშუალება ჩრდილოეთ კავკასიიდან მიეღო დაზმარება პურით და სხვა სურსათით.

გამოიცხადეს რა საქართველო „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად, მენშევიკებმა კარი გაიღეს ევრონელ იმპერიალისტებს და მჭიდრო კავშირი დაამყარეს კაზნერ ვოლპერის თავრობასთან. ინგლის პირველ რიგხვებში ქ. თბილისსაკენ მოეთარეთბოდნენ ევრონელთა ეშელონები. ამ ამბავმა უდიდესი ალშფოთება გამოიწვია საქართველოს მშრომელებში. ეაძლიერდა ბოლეარება დუშეთის მაზრაშიც.

მოსალოდნელი აჯანყების თავიდან ასაცილებლად მენშევიკებმა შეუფიცეს გლეხებს განაარაღება. 11 ივნისს თბილისის ეკზარხოსის კომისარის განკარგულებით მცხოვრებთათვის ირაღის ასაყრელად დუშეთის მაზრაში გაიგზავნა ე. წ. „მფარნავი რაზმი“. 16 ივნისს რაზმმა განაიარაღა სოფელი მასაკეული და მეორე დღეს მიადგა წილკანს. ამ სოფლის გლეხები წინააღმდეგ, ეშეიარაღებენ, შეიარაღდნენ, მოეზმე სანარგები გაეკეთეს და სამი მხრით ალყა შემოარტყეს „მფარნავ რაზმს“, რომელიც მთლიანად ტყვედ ჩაიგდეს. აჯანყებულთა დარაზმა ორი ტყვიაფანქრეები, 200-ზდე თოფი და სხვა საკმარეული. წილკანის გლეხობის შეიარაღეთა გამოსვლა გადაეკეთა მთელი დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების დაწყებისაკენ.

19 ივნისს დუშეთის მახლობელი სოფლების აჯანყებული გლეხები ბაზალეთის მხრიდან შეიერნენ ქ. დუშეთში, ბრძოლით დაიკავეს სამხრო კომიტეტი და ქალაქის სხვა დაწესებულებანი, დაამატეძოეს მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელნი, ხელში ჩაიგდეს სამხედრო სწყობები. ამავე დღეს შესდგა სამხედრო რევოლუციური შტაბი მიხა პაპუაშვილის მეთაურობით. შტაბის გადაწყვეტილებით შეიქმნა ოთხი შეიარაღებული რაზმი, რომელთაც უნდა დაეკავებინათ ნიალის მაზრის ბანარჩენი ნაწილი. ორ დღეში მათ აიღეს სიმაგრე „ბერძნის ციხე“, დაიკავეს მცხეთისა და ქსნის რკინიგზის სადგურები და დაიაყენეს თავიანთი გუშაგები. მცხეთის მახლობლად ხდებოდა ბატალიონის (ე. წ. „საეკპაპო ათასეულის“) ჯარისკაცთა უმრავლესობა აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა.

25 ივნისს ქ. დუშეთში მოწვეულ იქნა ლეხთა სამაზრო ყრილობა, რომელმაც ირჩია სამეო ამ მაზრაში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოს ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თედო ფუტიაშვილი, მაზრის კომისრად — გაბო მწოფარი. ამის შემდეგ აჯანყებულნი გლეხობამ ანაარაღა დარიალის მცველი მენშევიკური რაზმი და კავშირი დაამყარა თერგის ოლქის საბჭოთა მთავრობასთან.

მცხეთის დაკარგვა და დარიალის კარის ბანსა დიდ საფრთხეში აყენებდა მენშევიკურ მთავრობას. გერმანელთა სამხედრო შტაბის დახმარებით მენშევიკებმა დაარაზმეს ძალები აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ. მენშევიკური ბანრადია და ჯარის ნაწილები, გერმანელთა ტყვიამფრქვევებით, ზარაზანებითა და თვითმფრინავებით, 28 ივნისს სამი მხრიდან შეუსივნეს აჯანყებულ მაზრას. მენშევიკურმა ბანრადიამ ჯალათ ჯუფულის მეთაურობით 14 ზარაზანისა ცეცხლით მეოოე, დღეს ეერიშმიან ციხე „ბერძნის ციხე“.

2 ივლისიდან შეტევა დაიწყეს დუშეთის მიმართულებით. გერმანელები თვითმფრინავებიდან ყუმბარებს უშენდნენ აჯანყებულ გლეხთა ბანაკს. აჯანყებულები თავგანწირულად ებრძოდნენ ქ. დუშეთის დასაცავად და საბჭოთა ხელისუფლების შესანარჩუნებლად მთელ მაზრაში. მტერს დიდი ბრძოლა გაუმართეს ქერანის მთიდან და ბმილულად ეცადნენ დუშეთის მიდამოებს. ოთხი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ მენშევიკური მთავრობის სამხედრო ნაწილები შეიერნენ ქ. დუშეთში; აჯანყებულ გლეხთა რაზმებმა ციხეალისა და ანანურისაკენ დაიხიეს.

8 ივლისს აჯანყებულ გლეხთა რაზმებმა სასტიკი ბრძოლა გაიბნიეს ფასანაურის ეიწროებში. ჯალათი ჯუფული ამ დღეს თავის ფიფიერში სწერდა: „ეგაფფრეზენი ბრძოლა, მტერი ეკაეეეს სიმალლეებს და ყოველი მხრიდან ეფეიდა ქ. კაკეკიეფიდან ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის მიერ დუშეთის მაზრის აჯანყებულთა დასახმარებლად გამოგზავნილი 60 კაცისაგან შემდგარი რაზმი, ორი ზარაბანით და სხვა საჭიროებით შეიარაღებული; მათთან ერთად ჩამოვიდა პოლიტიკეკურ კომისრად დანიშნული ამხ. ს. ქაკაბაძე.

მენშევიკური სამხედრო ნაწილების შეერთებულმა მოქმედებამ შედეგად აჯანყებულთა რაზმებისა უკან დაიხიეს და გამაგრდნენ მლეთის მიდამოებში.

დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების სამეფო აღმასრულებელი კომიტეტმა 9 ივლისს გამოუშვა მოწოდება: „ამხანაგო გლეხებო, მუშებო, ჯარისკაცებო!“, რითა ფაიზრა ძალები ფუდუთის ფრონტზე გაგზავნილი მენშევიკური ჯარის წინააღმდეგ სამრძოლველად; მოწოდებანი დასასრულს ნათქვამი იყო:

„ან უნდა გავიმარჯვოთ და ძრის დაგვაკეთ მემამეულების და მენშევიკების მთავრობა, ან ბმირეულად და სალეოვნებად უნდა დავეხოცნეთ, სხვა ბეზ ჩვენთვის ალარ არის... ძრის მენშევიკების და მემამეულების მთავრობა! გაიმარჯოს მუშების და გლეხების რევოლუციამ! გაიმარჯოს საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიაში! გაიმარჯოს ერთობამ რუსეთისა და კავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის! გაიმარჯოს რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკამ! გაიმარჯოს სოციალიზმმ!“.

მტრის ეარაბი ძალების მოზღვავების გამო აჯანყებული გლეხთას უკანდახეგა უხდებოდა, მაგრამ მათ უბრძოლეს ალ ან დაუტეხეთ ბრძოლა არცერთი პოზიცია; დიდი ბრძოლა გაიჩიდა მლეთთან, გუდაურთან, კობთან, ყაბრეგთან და მათ შორის მდებარე ადგილებში.

დუშეთის მაზრის აჯანყებული გლეხობას დაბმარება გაუწია ალრეთვე სამა გეგეკმორის მეთაურობით სამეგრელოს და ოფლაფ ალ ბეგლეულ შემდგარმა შეიარაღებულმა რაზმმა. ეს რაზმი რაჭიდან მამისონის ეულელტეხილით გადავიდა ქ. კაკეკიეფი რ. კ. პ. (ბ) კავკასიის სამხრეო კომიტეტის განკარგულებაში. კაკეკიეფიდან ეი გადმოვიდა დუშეთის მაზრაში და 12-14 ივლისს დიდი ბრძოლა გაიჩიდა ყაბეგისა და დარიალის მიდამოებში. ეს იყო უკანასკნელი გადამწყვეტი შეტაკება. დამარცხდა აჯანყებული გლეხობა. სამა გეგეკმორის რაზმის ეარაგლესოობა ტყვედ ჩავარდა, ნაწილი კი აჯანყებულ გლეხთა ალგეფეთმან ერთად გადავიდა თერგის ოლქის ტერიტორიაზე.

მენშევიკებმა სასტიკად იძიეს შური. დუშეთში, ანანურში, ბაგისეულაში, ცეცხლისსეკრაზე, ყაზბეგსა და დარიალის ნეობაში დაბერტიეს აჯანყების ალტიკეი მონაწილეები: კოიგოოო ანდრიაშვილი, მიხა პაპუაშვილი, ნასყიდა ყავლაძე, პაელე ინაშვილი, ბაქრო გოძიაშვილი, ლეკსო ყარამაზანაშვილი და სხვები; მრავალი ვლეხი დაამატებრეს და ესტესკად აწამეს მენშევიკურ საპრობიელეებში.

დუშეთის მაზრაში დაწყებულმა აჯანყებამ მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოს სხვა რაიონებს. იმავე დღეებში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული ეანმოძღვა თიანეთის მაზრაში. ინგისის ბოლო რიცხვებში აჯანყების ცეცხლში გაეხვია ზუგდიდის მაზრა და სანიჩრის რაიონი. ეფლისსა და ალვიტონში შეიარაღებული ბრძოლა გაიაღო ეასეკის და ლეჩხუმის მაზრებშიც. მაგრამ ამ აჯანყებებს არ ხელმძღვანელობდა ერთი საერთო ცენტრი, აჯანყებულნი არ იყენენ საკმაოდ შეიარაღებულნი; მენშევიკურმა მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით ჩაიკრა საქართველოს შშრომელი გლეხობის რევოლუციური გამოსვლები.

დუშეთის მაზრის გლეხთა 1918 წლის აჯანყებას და შშრომელთა მიერ დაფიცრილ სისხლს უკვალოდ არ ჩაეკარ. ეს აჯანყება და შემდეგ წლებში საქართველოს მეშენიკთა და გლეხების მიერ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით წარძოფილი ბრძოლა 1921 წლის 25 თებერვალს დიდი რუსეთ ხალხის დახმარებით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დასრულდა.

ს. ბერიძე

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

ნათესები გაუმარგლავია, მკისათვის ცუდად ემზადებიან

ოქრის ფერი დაედო პურის ყანებს ამბროლაურის რაიონში. კოლმეურნეები ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. სოფელ კეკუტთის ბრიგას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ნადარეიშვილი) 56 ჰექტარი თავთავიანი კულტურებია ასაღები. მოსავალი კარგია. აქ დროულად დაიწყეს მზადება მკის დაწყებისათვის. მკის დაწყებისთანავე 215 კოლმეურნე ორგანიზებულად გავა პურის ყანებში. — არც ერთ თაოსანს არ დავკარგავთ, — ამბობს საქართველოს სსრ უმაღლესი სობჭოს დეპუტატი ბრიგადირი დარია ბიკაშვილი. მისი ბრიგადა სავსებით მზად არის მკისათვის. კარგად მოემზადა საო გუგესაშვილის ბრიგადაც.

მოსავლის ასაღებად მოემზადნენ მუხლის, ძირავეულის, სადმელის და ზედა ჭყვეთის კოლმეურნეობები.

არიან ჩამორჩენილებიც. ქვედა კრიხის კოლმეურნეობა ნათესებს ცუდად უვლის. კოლმეურნეობას 31 ჰექტარი პურის ნათესი აქვს. ყანები მხოლოდ ერთხელ გამარგლეს და ისიც ხუთთამდე ჰექტარი, რომელიც ჯზის ნაპირზე არის: შეეცალნენ სხვის თვალის ახვევას.

გადაეხვევიან თუ არა გზადან, მეტწილ ადგილებში ვერც კი გაიგებთ, პური ნათესია თუ ყვავილეანი სათიბი, რადგან ყანები ნესტოებით არ გაუპარგლავთ. ნათესები ძლიერ თხელია, გაუშენდავია ყანების ნაპირები.

ამ კოლმეურნეობაში ჯერაც არდაუწყიათ მზადება მოსავლის აღებისათვის. კარგახანია სათიბები გასათიბავია, ბალახს ღერობები უმსხვილდება, პირუტყვის საკვებად უვარგისი ხდება, მაგრამ სათიბებს ჯერ ცელი არ მიკკარებია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სეროპოლ კუბლაშვილი უმტეხს დროს ანტიბრიგადა ატარებს, ნაკლებად ამოწმებს საკოლმეურნეო მინდვრებზე საშუშაოთა მიმდინარეობას და მათი შესრულების ხარისხს.

მოსავლის ასაღებად არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ზედა კრიხის და ლიხეთის კოლმეურნეობებშიც.

დრო ცოტა დარჩა. სასწრაფოდ აღმოეფხვრათ ჩამორჩენა, მომზადებული გავიდეთ სამკალად, უდანაკარგოდ და მოკლე ვადებში აგიღოთ მოსავალი!

ა. გეწაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲕᲘ

მაღალი მთებით „შეეწროვებული ცა დასცქერის ყაზბეგს. მის ფეხთით მოუსვენარი თერგი მოშხუილს. პიტალო ქალდეებიდან მოწყვეტილი უზარმაზარი ქვები ელობებიან, წინსვლას უშლიან, ის კი ეჯახება, ეძიებენ. ღრიანცელით სსლევს წინააღმდეგობას და მაინც წინ მისწრაფვის. ასეთია თერგის სიცოცხლის გზა.

ჯერ მყინვარი... ნაცრისფერი მსუბუქი ნისლი შემოსხვევია და ლეჩქვინთ გადმოსჭიკნია შავერცხლილ კალთებს. იშვიათად თუ გამოჩნდება თავისი მწვერვალითა.

ეს თერგი, ბარეულნი კლდეები, თოვლით დაფარული მაღალი მთები ასევე იყვნენ ასი და ათასი წლის წინათაც, ნაკლებად ეტყობათ ცვლილება. მაგრამ ის კი აშკარად სჩანს, რომ მთებს შორის მოქცეულ ხევში შეიცვალა ცხოვრება და შეიცვალნენ ადამიანებიც...

„— კაი ადგილია ეს ოქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი. ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი, სწორედ ბედნიერებაა.

— ᲐᲰ!—ნაიკინა მოხეკვმ.

— რას იცინი!

— საცინელს ვიცინი. ცარიელ სტვიმაკი მაგნით ვერ გაძღებინა“.

ასე საუბრობდნენ ოთხმოცი წლის წინათ დიდი ილია და მოხეკვე ყაზბეგი.

ჩვენს ბედშაობას შეჰფერისო... ცარიელი სტომაკი აშვეცნერი წყლით და ჰაერით ვერ გაძღებაო.—შესჩიოდა მოხეკვე მწერალს...

გასვლო ბედუკუღმართმა დრომ. დღეს რომელი მოხეკვე ატყვეს თავის თავზე ბედშავსს?!. პირიქით, ისინი ისაა, კი ცდილობენ, რომ თავიანთი პირუეში კლდოვანი ბუნება შესცალონ, უფრო გაამაგნეერონ.

ყაზბეგს თავზე, ყურის მთის ძირში, ელიის ფერდობებზე ნერგავენ მალამთიანი ჯიშის მუხას, ნეკერჩხალს, ფიჭვსა და ვერხვს. ამ კლდეებზე სანაცრული იყო ცალკეული ხეებიც. კი. მოხეკვეებმა აქ ახლა ტყის გაშენება დაიწყეს. უკვე დარგულია ნახევარი მილიონი ნერგი. სოფელ სხინის თავზე ახლახან გააშენეს ფიჭვისა და იფნის ტყე. ლამაზი სანახავია ეს სოფელი.

შეფოთლილი ტყეები თვალსაც ამშვიდებს და გულსაც. ამიტომ ირჩევ, რომ ახლა თვითეული მოხეკვე ცდილობს თავის კარმიდამაში ხეები დარგოს. სოფელ ახალციხეში შვიდი ათასი ძირი ხე დარგეს, სნონი — ოცდახუთი ათასი, გორისციხეში—ათი ათასი, ვარგეთში, რომლის თავზეც გადამშდარია მყინვარწვერი, ორმოცდაათი ათასი ფიჭვი დანერგეს. რამდენიმე წლის შემდეგ სულ სხვა სანახაობა ეგდაინ... ეგებ ყაზბეგის ირგვლივ. თვით ხევის გულშიც — ყაზბეგში — ბაღებს ამენენენ, შუაგულ ქუჩას ამწვანებენ და ადარობენ.

ამ მაღალ მთებს შორის მოხეკვენი უკვე იმისთვის იბრძვიან, რომ ღამეც გინათონ; შენება ორი ჰიდროელექტროსადგური. პირველი დარიალჩესია, რომელსაც ავგენენ თერგის შენაკად მთის მდინარეზე, მეორე—სნოპესი. ეს ორი ჰიდროელექტროსადგური გაანათებს ყაზბეგის ოთხის ყველა სოფელს. ელექტროფიცირებული იქნება მესაქონლეობის ფერმებიც კი, რომლებიც გაშენებულია საზაფხულო სამეურნეოზე.

შორს არ არის ის დრო, როდესაც საქართველოს სამხედრო გზა, ხეივნით დამშვენებულ, ელექტრონათაა განათდება.

დამსახურებით ეკუთვნის ეს ყაზბეგის ოთხის. რამდენი საამაყო მოსაგონარი მომხდარა აქ. ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი აქ გაატარა. ახლა ჭაბის ბურღის მისი სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხევის ფოლკლორული მასალებით სავსე, გამდიდრებული საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომის ამ ცალკეული ეპიზოდების ამსახველი დოკუმენტებით, რომელნიც დაკავშირებულია მოხეკვეთა ბრძოლასთან საბჭოთა სამშობლოსთვის. მრავალი მასალაა თვით ყაზბეგზე, ვაჟა-ფშაველაზე, ალექსანდრე პუშკინის საკრთველოს სამხედრო გზით მოგზაურობაზე.

მუზეუმის შენობის წინ აღმართულია ყაზბეგის ძეგლი — კლდეში გამოკვეთილი მწერლის ნათელი სახე.

ია, აქ, ამ მიწა-წყალზე დადიოდა ალექსანდრე პუშკინი. ის ავიდა სოფელ გერგეთში, რომელიც ამფითეატრივით მთაში შეჭრილი თეთრი შენობებით გადმოსჭყურებს ყაზბეგს. პუშკინი აყიდა სამების ეკლესიაში. აქ მან ბგიკენო მიხეილ ყაზბეგი, ალექსანდრეს ბიძა. აქ დასწერა პუშკინმა შთაგონებული ლექსი „ᲙᲐᲫᲑᲘᲡᲗᲐᲜᲘᲗ“.

თერგდალეულთა მიერ შემოტანილი განახლების სიო ამ ხეობიდან მოჰქროდა.

ცნობილია, რომ ალექსანდრე ყაზბეგს ახალგაზრდობის წლებში ყმაწვილების ჯგუფი შეუფარავია, რომელთაც წერა-კითხვას აწყვალდა. არა ყოფილა მაშინ აქ სკოლა. ახლა რაიონში სამი საშუალო სკოლა, ექვსი რვაწლიანი და ოცდაექვსი დაწყებითი სასწავლებელი. წინათ აქ არ იყო მასწავლებლთა ადგილობრივი კადრები, ახლა აქ ას ორმოცდათხრმეტ მასწავლებელი რაიონის ლეგიონ შვილია. ამას გარდა, აქვე გახსნილია მოზრდილთა საშუალო სკოლები, რომლებშიც სწავლობენ კოლმეურნე ახალგაზრდები. რაიონი მოფენილია სამკითხველოებით, ბიბლიოთეკებით, კულტურის კერებით.

სოფელ ლარსის ქვევით, თერგის მარჯვენა მხარეს, პატარა ხეობა მიიმართება. მაღლა მიმავალ ხვეულ გზას ფიქსნარში შეეყავართ. ძნელია მისი სიმკვეთრის აღწერა. სალია ან ჭაერი, ფიდიანია ბუნება. ეს საქართველოს ერთი მძლავრი კუთრფთაგანია ათას ორასი მეტრის სიმაღლეზე. მას დარიალი ეწოდება. მის მოპირდაპირე მთებზე ნისლი და ღრუბლები წევს, დარიალს ფაქტიურად შეხუქუქებულ მთას კი ოქროს შარაკანდედად ადგას მცხეთელი მზე.

დარიალი ყაზბეგის რაიონის ზურმუტის თვალია.

* * *

ივნისის პირველი რიცხვებია.

მთელი თვის განმავლობაში ზამთრის სამოვრებიდან ბრუნდება საქართველოს ცხვარი. ტაატი მოაბიჯებენ ფარები. მწყემსები, თავმჭეფადები, სარქველი მოპკვეთნიან, ადევნებენ თვალყურს, ბატკნებსა და თიკნებს განსაკუთრებით უფლიან, დასუსტებულთ ხელი იყავნენ და ფარაჯის ქვეშ ჩკერდათ ჩაკრული მოჰყავთ. დიდი ნამატით ბრუნდებიან მეცხვარეები შუშილიანი სამოგრებსაკენ.

— წელს კარგი ზამთარი იყო!—ამბობენ შუშილიანი კუთხისაკენ მომავალი მწყემსები,—მზიანი დარები და მსუყე ბალახი მოუხდა ცხვარს!

საქართველოს ცხვრის ერთი ნაწილი კასპის-ზღვის სანაპიროებზე იყო, ყიზლარის მიდამოებში. აქ მათთვის ას ორმოცდაათი ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვარი იყო ეამოყოფილი. იქ გამოიზამთრა ყაზბეგის, ლიმონის, სამხრეთ ოსეთის და თიანეთის რეგიონი ათასმა ცხვარმა. მთელი თვის განმავლობაში ამშიდდ და მდორე მდინარესავით შეუწყვეტლად მოდის უზარმაზარი ფარა სამაგზეოსო საძოვრებისაკენ.

მეცხვარეობის კოლმეურნეობებს ყაზბეგის რაიონში დიდი ხნის ისტორია არა აქვთ. ისინი უმთავრესად უკანასკნელ წლებში, სამამეული ომის დროს ჩამოყალიბდნენ. სწორადაც იზრდება კოლმეურნეობათა დოეკათი. ჯერ კიდევ 1945 წელს კოლმეურნეობებს სულ ოცდათორმეტი ათასი სული ცხვარი ეკუთვნოდა. ახლა ერთგული და მეფაითი შრომით ერთიანსამად გამრავლდა.

ადვილი სამეე არ არის ზამთრის საძოვრებზე ცხვრის წარმატებით მოგალაპატონობა, ნამატის მიღება და შენარჩუნება, ცხვრის გასუქება, რაც შეიძლება მეტი პროდუქციის—ძროს, ყვავლის, მატყლის მიღება. თავდადებულად შრომობდნენ ყაზბეგის რაიონის კოლმეურნე მეწყემსები და კიდევაც მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს.

სოფელ სხინის ბაკრაძის სახელობის კოლმეურნეობამ წელს ათას ორასი სული ნამატი მიიღო. კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს ძველი, გამოცდილი მეცხვარე მალვა კობაძე. კოლმეურნეობის თავმჯდომარეა გრიგოლ ღუდუშაური ნამატი ფალეტნოა. ეან არ იცის, რა არის ცხვრის სიკვდილანობა, ტაუკბეგი ან შენარჩუნებული ჰყავს.

ძლიერია ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. მას რვა ათასზეთამსი ცხვარი ჰყავს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ქარიკაშვილი, სარქველი—არჩილ ქავთარაშვილი და თავმწყემსი ზაალა ჩკარიეული დაუფალავად ფრიმობენ ცხვრის სულადობის გაზრდისათვის. წელს მათ ორიათას ხუთასი სული ნამატი მიიღეს, ოცდასამი ათასს ლეტრი რძიდან ცხრათასი უკვე ჩაბარეს, ასევე მოიხადეს ვალი სახელმწიფოს წინაშე მატყლისა და ბორკოს ჩაბარების საქმეში.

სოფელ სხნის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა სამამული ომის დასაწყისში—1941 წელს ჩამოყალიბდა. ეს იყო ამ სოფლის ბოლოს პასუხი ფაშისტ თავდასხმელებისადმი. ოცდათორმეტმა კოლმეი ამამი სული ცხვარი გაიერთიანა. შემდეგ წელს ცხვრის რაოდენობა ექვსჯერ გაიზარდა. ამჟამად კოლმეურნეობას შვიდი ათასი სული ცხვარი ჰყავს.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობს გრიგოლ პაპიაშვილი. სარქველი როსტომ ხართიშვილია. თავისი საქმის მეკოდე კაცია როსტომი. როდესაც იგი პირველად ცხვარში მწყემსად გავიდა, ცამეტი წლისაც არ იქნებოდა. მას შემდეგ ოცდათხუთაეტი წელიწადია ცხვარში მუშაობს. როსტომი უყვართ მწყემსებს, მის ცოხნასა და დაფიდალავი შრომის უნარს აფასებენ. იგი მუდამ პირადად ხელმძღვანელობს ცხვრის დოლებს. წელს მან დაადოო ათას ხუთასი სული ცხვარი და ნამატი მთლიანად შეინარჩუნა. მას გვერდში უდგანან მოწინავე და საქმისადმი ერთგული მწყემსები ელი ბელაშვილი, კოსტანტინე ხართიშვილი, დავით მოილაშვილი, ალექსანდრე პაპიაშვილი.

ამ გაზაფხულზე ცხვრის პროფუქტიულობის ეგზრდის მიზნით შემოღებულ იქნა ზამთრის საძოვრებზეკეკ ცხვრის მოწველა. ასეთი წესით მუშაობის შედეგად წელს კოლმეურნეობამ ჩასაბარებელ ოხუთმეტი ათასი ლიტრი რძიდან ათი ათასი უკვე ჩააბარა. მთლიანად შეასრულეს მატყლის ჩაბარების გეგმა. კოლმეურნეობის ნახევრად შესრულებული აქვს აგრეთვე ხორცის ჩაბარების გეგმა. ზაფხულის საძოვრებზე მუშაობა ახლა ჩაიდება. მწველავებისთვის წინასწარ გაამზადეს საუკეთესო ქოხები, მზად არის სწველები. მუშაობას შეუდგენენ კოლმეურნეობის საუკეთესო მწველავები მალაკო ვარიანაკაშვილი და ფუნელავთა ბრიგადის ხელმძღვანელი ოლოა ჭანიშვილი. ოლოა თავდადებული შრომის გამო ყაზბეგის რაისაბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ძისი ბრიგადა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცხვრის წველის გეგმას. წარსულ წელს მისმა ბრიგადამ 939 კილოგრამი ყველის ნაცვლად 1.064 კილოგრამი ყველი და 133 კილოგრამი კარაქი მიიღო. ოლოამ ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში ისახელა თავი. სამმომლოს ერთი და ყველი სჭირდებოდა, მანაც ერთგული შრომით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ოლოა შრავალშვილიანი დედაა, დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დედობის მედლით. ის ყაზბეგის რაიონის სახელოვანი ქალია.

საზამთრო საძოვრებიდან დაბრუნება სოფლებში ნამდვილ ზეიმს ეწვევა. გაბარებულია დიდი და პატარა. შინ ბრუნდება ოჯახის მამა, რომელიც რვა თვის განმავლობაში მოშორებული იყო ცოლსა და შვილს, სახლკაცს. გაბარებული არის ბავშვები, რვა თვის უნახავი მამები მოუვდათ. ცხვრის ეროგული დარაჯებიც კი, ძალები სიხარულით უკეფენ ნაცნობ ადგილებს. ბევრგან გაისმის მხიარული სიმღერა:

„მოხეკვის ქალო თინაო“...

სვამენ გულწრფელ სადღეგრძელოებს:

— ცხვარმეცხვარეს გაუმარჯოს!..

— სახლკარი აგაშენოს!...

პირველად ცხვარმეცხვარეს ადღეგრძელებენ. სწორიც არის. ცხვარი მოხეკვეთა არსებობის წყაროა. ის არის მათი სიმდიერე. ცხვარმეცხვარე ერთად ატარებს მეხუთეკვე თუ სუსხიან დღეებს, გრილსა თუ ქარაშოტ ღამეებს. ერთად დადიან მთასა და ბარში, ერთად სძინავთ. იცით? მოხეკვეებმა ცხვრის ფასი. ამტკიცენ, ცხვარმეცხვარე თუ გამარჯვებულია, სახლკარიც ამეენებული აქვეთ.

სოფელი სნონ შინოს მთის ძირში მდინარის პირას არის გაშენებული. თვალის ერთი გადაკლებითაც მრავალად დაეინახავთ შუშანახლით დამშვენებულ ორსართულიან შენობებს. ეგულ ახარეს კოლეეურნეთა საოჯახო მოწყობილობაც.

ადერ როსტომ ხართიშვილის სახლი. მის ახლოს წამოჭიმულა მწყემსმა ადო ბოლაშვილის სახლიც. ორსართულიანი შენობის წინ სუფთად დაგვილი ფარეთი ეზო. იქვე დგას ფიქსილით დახურული ერთსართულიანი საბრიგეო ოთახი. სახლი კლიის ნათალი ქვისაგან არის აგებული. ხის კიბეებს შეშაბანდიან აივანზე ავყავართ. ორი დიდი დარბაზი ერთიმეორეზე უკეთესადაა მოწყობილი. სარკესავით კრიალებს წითელი იატაკი, რომელიც მოფენილია ჯიხვისა და გარეული თხის ტყავებით. ეს ბუღალეული ნანადირევი და მისივე გამოყენანია. დარბაზში, ერთ-ერთ კედელზე გაკრული ყვავილებამოქარგული შინდისფერი ხალიჩა. ფანჯრებს ამშვენებენ გამქვირვალე თეთრი ფარდები. კედლებთან მიდგმულია მაღალი სარკეები. ოთახის შუაგულში მრგვალი მაგიდა დგას, ირგვლივ სავარძლებით შემორწყობილი. კედლებზე პორტრეტები ჰკიდია.

ოთხი შვილი ჰყავს ადოს. უფროსი თბილისში სწავლობს, დანარჩენები — იქვე სკოლაში. გაბარებულია ეს ოჯახიც. მამა მოვიდა. მოვიდა ცხვარიც. ეზოდან მოსჩანს ეს ცხვარი. თეთრ ბალიშებივით შეფეთლილან მწვანით შემოსილ ფერდობებზე.

საგაზაფხულოდ მოვარდნილ მდინარეზე ავტომობილები ფრთხილად იკვლევენ გზას. ზედ გრძელი და განიერი მილები აწყვია. ეს მილები სწორედ ამ მდინარისთვის მოაქეთ, აქ შენდება სნოპესი.

ყორეზე სხედან კოლეეურნე მწყემსები და ტკბილად საუბრობენ, ერთმანეთს თავიანთ ამბებს უყვებიან. მიგადამგ ბაისის ხმამაღალი სიცილი...

— მიყვარს! ჩვენი მწყემსები, მიხარია მათი დანახვა, — ამბობს როსტომი. ᲛᲨᲘᲠᲘ ᲬᲧᲠᲝ ᲧᲘᲚᲘᲛᲔᲚᲘ ᲣᲤᲐᲜᲐᲗᲘ.—კარგი ვიტკაცები არიან.

და როსტომი ჰკვეხა, თუ როგორ თავდაუზოგავად უელიან ცხვარს ავდრიან ღამეებში, ნამქერსა და კორანატელში. მაშინ მწყემსებს არც ჭამა ახსოვთ, არც ძილი. ამთი ერთადერთი ფიქრი ცხვრის შენარჩუნებაა.

— ყოფილა შემთხვევა მწყემსს ცხვარი ბეღის ანაბარა მიეტოვებინოს?

— მე არ მახსოვს!

— მაშ მწყემსმა საქმის ღალატი არ იცის?

როსტომმა განცვიფრებით შემომხედა.

— კოლეეურნეობაც ჩვენია, საძოვრებიც ჩვენია, ჩვენი თავიც ჩვენ გვაყუდნინ, ეს უნდა ვეღალატოთ? — ჩტკიეედ სთქვა როსტომმა, მაგრამ თავისი მკვეთრი პასუხი უცბად შეამჩნია და დამალი ხმით შეარბილა:

— თუ შოვლილი და ბეერი ცხვარი გვეყოფნა, ჩვენთვის არის უკეთესი, უფრო მდიდარი ვიქნებით. აქ ცხვარი თუ არ გვეყოფნა, ცარიელ კლდეებს ხომ არ ვეუყურებთ.

მენეშნა როსტომის სიტყვა.

„კოლეეურნეობაც ჩვენია, საძოვრებიც ჩვენია, ჩვენი თავიც ჩვენ გვეყუდნინ“ — გონებიდან ალარ მოიშორება ეს სიტყვები.

ცხადია ალორძინდება და განახლდება ჭეეყანა, როდესაც საბჭოთა ადამიანი თავის ახალ, ბედნიერ ცხოვრებას საკუთარი მარჯვენით აშენებს.

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲝᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ

ყაზბეგი.
ივნისი — 1948 წ.

ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲒᲐᲫᲐᲮᲘᲠᲕᲐ

თბილისის რაიონის სოფელ წილასურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კალო. კოლმეურნეები პირველ განაღურ მარცვლეულს სახელმწიფოს ანაბრებენ.

ფოტო ო. ალიფოფისა

დაესრულებელ ნაკადად მიედინებიან მიმდები პუნქტისაკენ მარცვლეულით დატვირთული ავტომობილები, ურმები. კოლმეურნეობები სახელმწიფოს პირველ განაღურ მარცვლეულს ანაბრებენ. წნორის პუნქტი (დირექტორი ბ. ჯავახიშვილი) დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული. ეს დროულად გაითვალისწინეს აქ და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ამ სეროზულ სამუშაოს.

წილს, მარშანდელთან შედარებით, ადრე დაიწყო მარცვლეულის მოღება. დღემდე უკვე მიღებული აქვთ 260 ტონაზე მეტი ქერი და 21 ტონა ხორბალი.

კოლმეურნეები მაღალხარისხოვან მარცვლეულს ანაბრებენ მიმღებ პუნქტს. მარტო წითელწყაროს რაიონიდან მიღებულია 60 ტონამდე მაღალხარისხოვანი მარცვლეული, მათ შორის 2.817 კილოგრამი ხორბალი. სიღნაღის რაიონიდან უკვე მიღებულია 173 ტონა ქერი, 19 ტონამდე ხორბალი, ლაგოდეხის რაიონმა წნორის პუნქტს უკვე ჩააბარა 28 ტონა ქერი.

ხორბლის მიღება პუნქტში 17 ივნისს დაიწყეს. პირველმა მოტანა 2.600 კილოგრამი ხორბალი სიღნაღის რაიონის ბაკა და წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. მკედლიშვილი). ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ჯალმაშვილი) 22 ოვნის მოიტანა 5.000 კილოგრამი ხორბალი, 23 ივნისს — 6.000 კილოგრამი, 24 ივნისს კ—9.000 კილოგრამი. მაღალხარისხოვან მარცვლეულს ანაბრებენ ფარეთვე ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონოს სახელობის კოლმეურნეობა, წითელწყაროს რაიონის მიქიოანის სახელობისა და ქვემო მაჩხაანის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ მარცვლეულის ჩაბარების საქმეში არის ხაკლიც. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ტბიანის მარჭასის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ბ. მთისაშვილი) ჩამბარებელმა ვ. ხუციურაშვილმა 24 ივნისს მანქანით მოიტანა 2.000 კილოგრამი ქერი ისე, რომ მარცვლეული პირდაპირ ავტომანქანაში ეყარა. მარცვლეულის დაცვას მოანდომეს 2,5-ს საათი, დაცვალად 15-20 წუთისა, არ ჰყავდათ ოგრეთვე საკმაო რაოდენობით მუშაზელიც. ეს იწვევს მარცვლეულის დანაკარგს. მარცვლეულის გადაზიდვა ამბ. ხუციურაშვილს 23 ივნისს ერთ რეისზე 21 კილოგრამი მარცვლეული დაკაკლდა. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ბორშოლოვისა და სოფელ ჯუგაანის ჩარეკვილის სახელობის კოლმეურნეობებში.

პუნქტში დღითი დღე მატულობს მარცვლეულის მოტანა. მარტო 23 ივნისს მიიღეს 34 ტონა, ხოლო 24 ივნისს კი 85 ტონა. დღემდე დანიშნულებისაშვარი პუნქტმა გაგზავნა 120 ტონა მარცვლეული.

— ჩვენ კიდევ შეგვეძლო დამატებით გაგვეგზავნა 150 ტონა მარცვლეული, რომ რკინიგზის საკმარ რაოდენობით მოეწოდებია ვაგონები, — განაცხადა პუნქტის დირექტორმა ამხ. ბ. ჯავახიშვილმა.

ეს საყვედური სამართლიანია. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო ვადებულია ყოველდღიურად გაუგზავნოს წნორის მიმღებ პუნქტს 10 ვაგონი, ფაქტიურად კი 23 და 24 ივნისს პუნქტს სრულიად არ მიეღია ვაგონები. აღსანიშნავია, რომ პუნქტი ოფლოდს ოთხფრანად ვაკონებს. ადგილზე კი მის აწონის სასწორის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ. ამის გამო იძულებული არიან ვაგონს თან გაყოლონ საწყობის გამეე ნავთლუღის ბაზაში, ეს იწვევს მუშახელის გაცდენას.

რკინიგზის სამმართველომ წნორის სადგურთან დაიწყო ოთხეერძიანი ვაგონის ასაწონი სასწორის გაკეთება, მაგრამ მუშაობა დღემდე არ დაუთავრებიათ.

მიმღები პუნქტის მეხუთე საწყობში (ვაგეე ვ. ბოკოლოშვილი) შესასვლელი წესიერად არ არის გაკეთებული, რაც აფერხებს მარცვლეულის შეზიდვას. საკირო საწყობში შესასვლელი კარების შიგნით მოეწყოს ორ-სამ საფეხური ანალი მოძრაგი კიბე. კოლმეურნეობებიდან ამ საწყობში მარცვლეულის მატანის დროს მარცვლეული ეცვევა, ფუქდება და თანაც პირტყვსი ანადგურებს. პუნქტის მუშაკებმა ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციონ.

სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი. რკინიგზის სამმართველომ ყოველდღიურად უნდა უზრუნველყოს პუნქტი საკირო ვაგონებით და უახლოეს დღეებში დაამთავროს ვაგონების ასაწონი სასწორის მოწყობა.

Შ. ᲭᲘᲥᲝᲕᲐ

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. გ. ფეხმაშვილი) ერთერთი მოწინავეა ყველის რაონში. გასული წელი მან კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. სიმინდის, ყურძნისა და თამბაქოს უხვი მოსავალი მიიღო. კოლმეურნეებმა წელს შარშანდელზე უკეთესად მუშაობენ.

უხვი მოსავლის მოსაყვანად ახალსოფლელი კოლმეურნეები დიდად აღაფრთოვანა ნელადისადმი გგზავნილმა საქართველოს სოფლის მშრომელთა წერილმა. ამ წერილში ახალსოფლელებმა სიტყვა მისცეს ამხანაგ სტალინს, რომ წელს მოიყვანენ 23 ცენტნერ თამბაქოს 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე და 390 ფუთ სიმინდს 85 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად კოლმეურნეები დილიდან დალამებამდე შუმაობენ, მოვლასა და პატრონობას არ აკლებენ 377 ჰექტარ ხორბლის, 85 ჰექტარ სიმინდის ნათესს, 38 ჰექტარ თამბაქოს ნარგავებს, 38 ჰექტარ ვენახს. კოლმეურნეობამ ვადაზედ წარმატებით დაამთავრა სიმინდის მეორე თინნნა, ახლა მას მესამედ თინნნაენ.

უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევა ის რეული, რომელსაც ე. ქიზიყელაშვილი ხელმძღვანელობს. დიდი სტალინსადმი მიცემული სიტყვის მიხედვით მისმა რეულმა 438 ფუთი სიმინდი უნდა მოიყვანოს! 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე. რეული პირობას შეასრულებს. ამის საწინდარია ის თავდადებული შრომა, რომელსაც ამ რეულის თვითეული წევრი ეწევა. რეულისათვის მიჩენილი სიმინდის ნაკვეთი სამაგალითოდ არის დამუშავებული. სიმინდ ის სიმაღლე ერთ მეტრსა და 30 სანტიმეტრს აღემატება, მის ქეჩეჩებში უკვე ჩასახულია სიმინდის ტაროს პირველი ნაყოფი. სიმინდის ყოველ ძირს თანაბარი განვითარება აქვს.

ლ. ბეჟიაეფაშვილის რეულს არ ჩამორჩენია ი. ბუფთაშვილის რეული. კოლმეურნეები პ. ცისკარიშვილი, ი. მეიდფაშვილი, ა. ნადირაძე, გრიგოლ შვილი, ნინაშვილი და სხვები ენერგიის დაუზოგავად მუშაობენ, სანიმუშოდ უელიან მათთვის მიჩენილი ნაკვეთებს.

კოლმეურნეობა კარგად მოემზადა მოსავლის აღებისათვის. ქერის მკა აქ კარგა ხანია დაიწყო. გაჩალდა პურის აღებაც. ქერისა და ხორბლის მოსავალი კარგია. კიდევ უკეთესი იქნება სიმინდის მოსავალი.

ახალსოფლელი კოლმეურნეები ბელადისათვის მიცემულ სიტყვას სანაბელად შეასრულებენ და სამშობლოს მეტ პუოს, სიმინდსა და თამბაქოს ნედლეულს მიაცემენ.

Კ. ᲘᲐᲠᲐᲚᲝᲕᲘ

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ საბჭოთა კავშირის მიერ საწინააღმდეგო ხმისმიცემის შედეგად გუშინ უარჰყო ამერიკის რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლეოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიაში შეწყვეტილიყო მოლაპარაკება ატომის ენერგიისადმი კონტროლის შესახებ, მოწონებული ყოფილიყო ამ კომისიის პირველი სამი მოხსენება და გადასცემოდა ისინი გენერალურ ასამბლეას.

საბჭოს 9 წევრმა ხმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას. საბჭოთა კავშირმა და უკრაინამ ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ, რომლის მიზანია დააკისროს საბჭოთა კავშირს დანაშაული შექმნილი ჩიხისათვის. ამის შემდეგ უშიშროების საბჭომ 9 ხმით (ორმა თავი შეიკავა—საბჭოთა კავშირმა და უკრაინამ) მიიღო კანადის მიერ კვლავ შეტანილი წინადადება, რომ გენერალურ ასამბლეას უბრალოდ გადაეცეს ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის სამი მოხსენება.

უკრაინის წარმომადგენელმა მანუილსკიმ ნიუ-იორკში ჩასვლის შემდეგ უშიშროების საბჭოში წარმოთქმული თავისი პირველი სიტყვით გახსნა კამათი იმის განცხადებით, რომ ამერიკის წინადადებას ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ სერიოზული პოლიტიკური შედეგები მოჰყვება, ვინაიდან იგი კარს გაუღებდა ომის ისტერიის ახალ ტალღას და შესაძლებელს გახდიდა გაედიდებინა სამხედრო მზადება, რასაც ოფიციალური წრეები ატარებენ შეერთებულ შტატებში. მანუილსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წრეებს სურთ წინააღმდეგობა გაუწიონ ისეთი კონტროლის დამყარებას, რომელიც აკრძალავდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ყველაზე ბარბაროსული სახის იარაღის გამოყენებას. მანუილსკიმ განაცხადა, რომ მილიონები, რომლებიც ჰიტლერიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, არასოდეს არ დაეთანხმებოდნენ ასეთ მდგომარეობას, და სთქვა, რომ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ომის გაკვეთილები გაფრთხილებაა ახალი ომის გამჩაღებელთათვის იმის შესახებ, რომ ისინი თავს ვერ აარიდებენ სასჯელს.

შემდეგმა ორატორმა—კოლუმბიის წარმომადგენელმა არბოლაეს ურდანეტამ მხარი დაუჭირა ამერიკის წინადადებას. როგორც მან განაცხადა, მას „არარეალისტურად“ მიაჩნია საბჭოთა კავშირის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ატომური იარაღის აკრძალვას წინ უნდა უსწრებდეს კონტროლის სისტემის დაწესება.

შემდეგ საბჭომ უარჰყო ამერიკის წინადადება. ამის შემდეგ კანადის წარმომადგენელმა მაკნოტონმა შეიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„უშიშროების საბჭო, რომელმაც მიიღო და შეისწავლა ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის პირველი, მეორე და მესამე მოხსენება, წინადადებას აძლევს გენერალურ მდივანს გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეასა და წევრებს ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის პირველი, მეორე და მესამე მოხსენება უშიშროების საბჭოში ამ საკითხის განხილვის ოქმთან ერთად, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმე“.

მაკნოტონი ამტკიცებდა, ეს რეზოლუცია მხოლოდ „საპროცედუროაო“.

გრომიკომ განაცხადა, რომ იმავე მიზეზებით, რომლებითაც საბჭოთა დელეგაციამ უარჰყო ამერიკის რეზოლუცია, იგი ვერ დაეთანხმება კანადის წინადადებასაც. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძირითადი საკითხი ის კი არ არის, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელი ორგანო იხილავს საკითხს. შეთანხმების უქონლობის მიზეზს ვერ ვპოვებთ იმ ფაქტში, რომ ეს საკითხი განიხილა უშიშროების საბჭომ და მანამდე კი ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიამ. შეთანხმების უქონლობის მიზეზი ის არის, რომ შეერთებული შტატები შეუპოვრად ილაშქრებენ ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ის, რომ შეერთებული შტატები ილაშქრებენ ძირითადი არსებითი საკითხის—ატომური იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ. ამიტომ გენერალური ასამბლეისათვის მოხსენებების გადაცემა უაზროა. ასეთი გადაწყვეტილებით ვერავითარ პოზიტიურ შედეგს ვერ მივაღწევთ. მაკნოტონის „კატეგორიული მტკიცების“ მიუხედავად, გრომიკომ უარჰყო, რომ კანადის წინადადება საპროცედუროა.

დასასრულ გრომიკომ აღნიშნა: თუმცა საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება იმას, რომ კანადის რეზოლუცია საპროცედუროა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას განზრახული არა აქვს მოითხოვოს მთელი ამ პროცედურის გამოყენება, რომელიც წარსულში იქნა გამოყენებული ასეთივე საკითხებში წამოჭრილ უთანხმოებათა მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯესეპი ამტკიცებდა, რომ კანადის რეზოლუცია გენერალური ასამბლეისათვის მოხსენებათა „უბრალო გადაცემის“ შესახებ „ჩვეულებრივი ხასიათის“ წინადადებაა და ამიტომ იგი საპროცედუროა.

მანუილსკიმ უარჰყო ჯესეპის მტკიცება. მან აღნიშნა, რომ რეზოლუცია დაკავშირებულია არა მარტო მთელი რიგი დოკუმენტების გადაცემის საკითხთან, არამედ შეეხება იმ საკითხს, რომელზეც უშიშროების საბჭომ ვერ შესძლო შეთანხმების მიღწევა ორნახევარი წლის მანძილზე.

დასასრულ მანუილსკიმ განაცხადა, რამდენადაც უკრაინის დელეგაციას მიაჩნია, რომ ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობა უნდა გაგრძელდეს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უკრაინა ხმას მისცემს კანადის წინადადების წინააღმდეგ ან თავს შეიკავებს ხმის მიცემისაგან.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე ელ-ხური ამტკიცებდა, კანადის რეზოლუცია საპროცედუროაო. როგორც მან განაცხადა, ეს გამომდინარეობს შემდეგი ფაქტიდან: ამერიკის წინადადების უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისია კვლავინდებურად „იმუშავებს“ ატომის ენერგიის საკითხის შესწავლაზე.

გრომიკომ უპასუხა, რომ იგი ვერ დაეთანხმება ელ-ხურის განცხადებას, აგრეთვე იმას, რომ უშიშროების საბჭოს ყოველ თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისებურად განმარტოს სან-ფრანცისკოში მიღებული დეკლარაცია, რომლის შესაბამისად საბჭოს მუდმივმა წევრებმა მიაღწიეს შეთანხმებას პროცედურის შესახებ, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას იმის გადაწყვეტისას, არის თუ არა ესა თუ ის საკითხი საპროცედურო ან არსებითი. გრომიკომ კვლავ განაცხადა, რომ მას არ სურს ამ პროცედურის გამოყენება.

განცხადებათა შემდგომი გაცვლის შემდეგ ელ-ხურიმ, როგორც სჩანს, ბრლის და ზოლის გაიგო, რომ გრომიკოს განზრახული აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან და ამიტომ საჭირო არ არის შეეცადოს, რომ ფორმალურად განსაზღვროს, არის თუ არა საკითხი საპროცედურო ან არსებითი. უშიშროების საბჭომ მიიღო კანადის რეზოლუცია და სხდომა დაიხურა.

უოლესის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). პრეზიდენტობის კანდიდატმა მესამე პარტიისაგან უოლესმა, რომელიც გამოვიდა „უოლესისა და ტეილორის მხარდამჭერი ნიუ-იორკის მუშათა კომიტეტის“ მიერ მოწვეულ კრებაზე, ამერიკელ მუშებს მოუწოდა — არ ერწმუნონ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებს და ახსოვდეთ, რომ პროფკავშირები „წარმოადგენენ ყველა დემოკრატიული სახალხო მოძრაობის ხერხემალსა და მტკიცე საფუძველს“. უოლესმა განაცხადა, რომ მუშები წარმოადგენენ მესამე პარტიის მამოძრავებელ ძალას. უოლესი მოუწოდებდა აუდიტორიას, რომელიც შესდგებოდა საწარმოო პროფკავშირთა კონგრესისა და ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალი პროფკავშირების 700 წევრისაგან, ახსოვდეს, რომ „შეტევითი ძალა, რასაც ჩვენს ქვეყანაში ახალი პარტია ყველგან იჩენს, საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს საკუთარი ამერიკული ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყველა ჩვენ მოსპობას გვემუქრება“.

„თუ ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ ამერიკის საარსებო დონე, — სთქვა უოლესმა, — უნდა უარვყოთ ტაფტ-ჰარტლის კანონი, გადაჭრით უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა ცდას — გვაშინონ ომითა და წითელი საფრთხით დაშინების გზით, რასაც დიდი ჯამაგირის მქონე პროპაგანდისტები და პოლიტიკოსები მიმართავენ ყოველთვის, როცა შეატყობენ რომ სუსტდება ორპარტიული პოლიტიკის მომხრეთა მხარდაჭერა“.

უოლესმა იწინასწარმეტყველა, რომ დემოკრატები და რესპუბლიკელები შეეცდებიან თავისთვის უზრუნველჰყონ მუშათა ხმები და ფარისევლურად განაცხადებენ: „მუშების მეგობრები“ ვართო, და სთქვა, რომ ალბათ იქნება ისეთი მომენტები, როცა მონოპოლისტები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ „ტრუმენის, ფორესტოლის, ჰარიმანისა და კომპანიის მოქმედებას, ინანებენ, რომ ხარჯი უნდა გასწიონ ორივე პარტიის შესანახავად ამ მოჩვენებითობის დაცვისათვის“.

უოლესმა ბრალად დასდო ტრუმენს, რომ იგი სასამართლოს დადგენილებებს, როგორც მუშათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, უფრო ხშირად მიმართავს, ვიდრე შეერთებული შტატების რომელიმე სხვა პრეზიდენტი მიმართავდა. უოლესმა იწინასწარმეტყველა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში დემოკრატიული პარტია ეცდება მაქსიმალური სარგებლობა ნახოს იმ ფაქტის გამო, რომ ტრუმენმა ვეტო დაადო ტაფტ-ჰარტლის კანონს, და კრებას გაახსენა, რომ ტრუმენს არავითარი რეალური ბრძოლა არ გაუწევია, რათა კონგრესისათვის ხელი შეეშალა ვეტოს გაუქმებაში.

შემდეგ უოლესმა სთქვა: „მე ვნახე ცივი ომის გავლენა ამერიკელ ხალხზე და ვიცი, რომ ცივი ომი არსებითად მიმართულია ამერიკელი ხალხისა და არა რუსების წინააღმდეგ“.

უოლესმა მოიყვანა ტერორისა და პროფკავშირული მოღვაწეების, ზანგების, განათლების მოღვაწეებისა და სხვ. დევნის მრავალი მაგალითი. მან კმაყოფილებით აღნიშნა ქალთა როლი მესამე პარტიის მოძრაობაში და იმედი გამოსთქვა, რომ პროფკავშირები „არ დაივიწყებენ გამოიყენონ ქალთა მთელი ტალანტი თავისი არსებობისათვის ბრძოლაში“. უოლესმა გააკრიტიკა პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი ხელმძღვანელობა და განაცხადა: მიკვირს „თუ როგორ შეუძლია ზოგიერთ პროფკავშირულ ლიდერს მიემხროს ძველ პარტიებს, რომელთა საშინაო პოლიტიკა ის არის, რომ ისინი სთელავენ მუშათა ყველა უფლებასა და ინტერესებს“.

უოლესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძველი პარტიები ტრადიციით არღვევენ თავის წინასაარჩევნო დაპირებებს, მაგრამ „ახალი პარტია იბრძოლებს თავისი პროგრამის შესრულებისათვის, ვინაიდან იგი ეყრდნობა ხალხს, რიგით ამერიკელებს“.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის განცხადება საბჭოთა ზონაში ფულის რეფორმის შესახებ

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა ზონაში ფულის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, რაც დღეს ბერლინში გამოცხადდა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც იძლევა საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ფულის ახალი რეფორმის დახასიათებას. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სამდივნო მიუთითებს დასავლეთ გერმანიაში ფულის რეფორმის სეპარატულ, ანტიდემოკრატიულ ხასიათს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფულის ეს რეფორმა ემსახურება არა მეურნეობის აღმავლობის მიზნებს, არამედ მარშალის გეგმას, და დასავლეთი გერმანიის კოლონიზაციის საშუალებას წარმოადგენს. მას ახალი არაფერი არ შეაქვს ფულის სისტემაში, არ სპობს ომით შეძენილ მოგებას, არა სცვლის ნაცისტური რეჟიმისაგან ნაანდერძევ ქონებრივი ურთიერთობის სისტემას. პირიქით, იგი სამხედრო დამნაშავეებისა და სპეკულანტებისათვის უზრუნველჰყოფს მოგებას და ჰიტლერული ომის მთელ სიმძიმეს მშრომელებს აკისრებს.

ამერიკის მონოპოლისტების მიერ ნაკარნახევი ფულის სეპარატული რეფორმა მოწოდებულია იხსნას ძირგამომპალი კაპიტალისტური სისტემა.

შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სამდივნოს განცხადებაში ნათქვამია, რომ ფულის რეფორმა საბჭოთა ზონაში სრულიად სხვა საფუძველზე სწარმოებს. საბჭოთა ზონაში ლიკვიდირებულია კონცერნები, ბანკებისა და სამხედრო დამნაშავეთა ქონება. ფულის ახალი რეფორმით საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნება სამხედრო დამნაშავეების, სპეკულანტებისა და სხვ. მოგება. ამ ღონისძიებათა გზით, სამხედრო დამნაშავეებისა და სპეკულანტებისათვის მოგების წართმევის ხარჯზე, შეიქმნება დემოკრატიული ურთიერთობა, რაც დახმარებას გაუწევს დემოკრატიული აღდგენისა და მშვიდობიანი მშენებლობის საქმეს.

ცენტრალური სამდივნო ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ზონაში რეფორმის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს განზოგადებული და კომუნალური საწარმოებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, პარტიებისა და პროფკავშირებისათვის, რომელთა საბიუჯეტო სახსრები გადაფასებულია 1:1 შეფარდებით.

დასასრულ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მოუწოდებს საბჭოთა ზონის მოსახლეობას ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რათა საკუთარი საშუალებით დააჩქაროს მეურნეობის აღდგენა.

გერმანული პრესის გამოხმაურება ოკუპაციის საბჭოთა ზონასა და ბერლინში ფულის რეფორმის განხორციელების გამო

ბერლინი, 24 ივნისი. (საკდესი). ბერლინის გაზეთების მთელი ყურადღება მიპყრობილია ცნობებისადმი გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონასა და ბერლინში განხორციელებული ფულის რეფორმის შესახებ.

გერმანიის გაერთიანებული თავისუფალი პროფკავშირების ორგანო „ტრიბუნე“ მოწინავე სტატიაში სწერს:

„მარშალ სოკოლოვსკის ბრძანება და გერმანიის ეკონომიური კომისიის დებულება ოკუპაციის საბჭოთა ზონასა და ბერლინში ფულის რეფორმის განხორციელების შესახებ მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს დასავლეთი ზონების ფულის რეფორმასთან შედარებით. ფულის რეფორმა საბჭოთა ზონაში ნათლად მოწმობს, რომ უწინარეს ყოვლისა მისი მიზანია მშრომელი ხალხის არსებობის უზრუნველყოფა და ახალი დემოკრატიული სამშვიდობო მეურნეობის აშენება“.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „დერ მორგენი“ სარედაქციო სტატიაში „აღმოსავლეთი ზონის რეფორმის საფუძვლები“ აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ზონასა და ბერლინში განხორციელებული ფულის რეფორმა გამოიწვია დასავლეთ სახელმწიფოთა სეპარატულმა ღონისძიებებმა და მიზნად ისახავს მოსახლეობისა და ეკონომიკის დაცვას დასავლეთ გერმანიიდან ძველი ფულის მოზღვავებისაგან.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ფულის რეფორმა საბჭოთა ზონასა და ბერლინში ფართო მასების კმაყოფილებას გამოიწვევს, რადგან იგი პირველ რიგში მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც გამოიწვია გერმანიის ახლანდელი მდგომარეობა და ვინც თავის გასამდიდრებლად გამოიყენა ხალხის გაჭირვება.

გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ მოწინავე სტატიაში „აღმოსავლეთის ფული და დასავლეთის ფული“ ერთმანეთს ადარებს დასავლეთი ზონების და აღმოსავლეთი ზონისა და ბერლინის ფულის რეფორმას და სწერს, რომ რეფორმა დასავლეთში განხორციელდა კაპიტალისტების სასარგებლოდ, მაშინ როცა აღმოსავლეთში რეფორმას უწინარეს ყოვლისა სოციალური ხასიათი აქვს და იმისაკენ არის მიმართული, რომ მშრომელები რაც შეიძლება ნაკლებ დაზარალდნენ რეფორმის განხორციელების დროს.

„ამ ორ ფულის რეფორმაში ორი სისტემა შეხვდა ერთმანეთს“,—სწერს გაზეთი.

შემდეგ გაზეთი მიესალმება იმას, რომ აღმოსავლეთი ზონის ფულის რეფორმა ბერლინზე ვრცელდება, რადგან, მისი სიტყვით, არ შეიძლება იყოს რაიმე სხვა გადაწყვეტილება, რომელიც ასე შეესაბამებოდეს ბერლინის ეკონომიურ მოთხოვნილებას.

ბერლინის დასავლეთი სექტორების არც ერთი გაზეთი არ მოუთავსებია არც მარშალ სოკოლოვსკის ბრძანება, არც გერმანიის ეკონომიური კომისიის განკარგულება. ეს გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობენ საფინანსო ექსპერტების თათბირს, რაც 22 ივნისს შესდგა, აგრეთვე მარშალ სოკოლოვსკის წერილებს გენერლების კლეის, რობერტსონისა და კენიგისადმი.

ფულის გამოცვლა ბერლინში

ბერლინი, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს დილის ათ საათზე ბერლინის საბჭოთა სექტორის გადასაცვლელ პუნქტებში დაიწყო ფულის ძველი ნიშნების — რაიხსმარკების, რენტმარკებისა და მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციის მარკების გამოცვლა ფულის ახალ ნიშნებზე — რაიხსმარკებსა და რენტმარკებზე ზედდაკრული სპეციალური კუპონებით. როგორც გერმანიის საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ინფორმაციის ბიურო იტყობინება, ბერლინის დასავლეთი სექტორების მცხოვრებთ შესაძლებლობა აქვთ გამოსცვალონ ფულის ნიშნები ბერლინის საბჭოთა სექტორის ყოველ გადასაცვლელ პუნქტში. ბერლინის დასავლეთი სექტორების მცხოვრებთ, რომელნიც თავიანთი ფულის ნაწილს გადასცვლიან დასავლეთის მარკებზე (დასავლეთი ზონების ფული), უფლება ეძლევათ გადასცვალონ ძველი ფული რაიხსმარკებსა და რენტმარკებზე ზედდაკრული სპეციალური კუპონებით (დიდი საბჭოთა ზონისა და დიდი ბერლინის რაიონის ფული).

დასავლეთ სახელმწიფოთა სეპარატული მოქმედება ბერლინის დასავლეთ სექტორებში

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს ამერიკული სექტორის რადიოსადგურმა და დასავლეთის დეპეშათა სააგენტოებმა გადასცეს გერმანიის ოკუპაციის სამი დასავლეთი ზონის სარდალთა კომუნიკე იმის შესახებ, რომ მათ გადასწყვიტეს დასავლეთი ზონების ვალუტა შემოიღონ ბერლინის დასავლეთ სექტორებში. ცნობაში არ არის აღნიშნული, თუ რა ვადაში და რა პირობებით უნდა განხორციელდეს რეფორმა ბერლინის დასავლეთ სექტორებში.

არის ცნობები, რომ დღეს ქალაქის დასავლეთ სექტორებში დახურული იყო ყველა ბანკი, საკრედიტო დაწესებულებანი და მაღაზიები, გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქებისა.

საბერძნეთის დემოკრატიული არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანება

ბელგრადი, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურმა გადასცა საბერძნეთის დემოკრატიული არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანება ჩრდილოეთ პინდში წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. ბრძანებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„მონარქისტ ფაშისტთა არმიამ ინგლისელ და ამერიკელ ოკუპანტთა და პირადად ვან ფლიტის უშუალო ხელმძღვანელობით ფართო მასშტაბის ოპერაციები დაიწყო ჩრდილოეთ პინდში, გრამოსზე. ამ ოპერაციებში მონაწილეობს მონარქისტ ფაშისტთა ექვსი დივიზია: პირველი, მეორე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთხუთმეტე. მონარქისტმა ფაშისტებმა 70 ათასი ჯარისკაცი გამოიყვანეს დემოკრატიული არმიის ნაწილების წინააღმდეგ ამ სექტორში. უკვე რვა დღეა გააფთრებული და მძიმე ბრძოლები გრძელდება. მონარქისტ ფაშისტებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. დემოკრატიული არმიის მამაცი მებრძოლები და ოფიცრები უმაგალითო გმირობასა და თავგანწირვას იჩენენ“.

ბრძანება შემდეგი სიტყვებით თავდება: „დემოკრატიული არმიის მებრძოლებო და ოფიცრებო! მონარქისტი ფაშისტები თავიანთ უკანასკნელ შეტევას აწარმოებენ დემოკრატიული არმიის წინააღმდეგ. ჩვენ გავანადგუროთ მონარქისტი ფაშისტები და ამჯერად მათ სამარედ გადავაქციეთ გრამოსი. თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩვენი დროშები გრამოსის, სმოლიკის, კოზიაკის, აგრაფის, გიონისა და პარნასის მწვერვალებზე რომ ფრიალებენ, ჩვენი გმირი მებრძოლების სისხლით არის გაჟღენთილი. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ გავიმარჯვოთ და საბოლოოდ გავათავისუფლოთ საბერძნეთი ინგლისელთა და ამერიკელთა ოკუპაციისაგან და მონარქისტ ფაშისტთა შავი ჭირისაგან“.

სასამართლოს კომედია ლადასის მოკვლის საქმის გამო

ათენი, 23 ივნისი (საკდესი). ათენის სამხედრო სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა იუსტიციის მინისტრ ლადასის მოკვლის საქმის გამო შვიდ ბრალდებულს.

ოთხ მსჯავრდადებულს დამოკიდებულება არა ჰქონია ამ საქმესთან. მაგალითად, ორესტის მაკრიდისი მსჯავრდადებულია იმ საფუძველზე, რომ იგი კომუნისტური პარტიის ათენის საქალაქო კომიტეტის წევრი იყო „და ამიტომ ეკისრება პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის“.

მეფის პროკურორსა და მოსამართლეებს ერთი ისეთი შეკითხვაც არ მიუციათ მისთვის, რომელიც პირდაპირ შეეხებოდეს საქმეს, თუ არ ჩავთვლით შემდეგ შეკითხვას: „იწონებთ თუ არა თქვენ მინისტრის მოკვლას?“

მაკრიდისის დაკითხვა ასე დამთავრდა:

პროკურორი: — თქვენ ამბობთ, ომის წინააღმდეგი ვარო?
მაკრიდისი: — დიახ.
პროკურორი: — რუსეთს ჰყავს არმია?
მაკრიდისი: — ჰყავს.
პროკურორი: — რისთვის ჰყავს?
მაკრიდისი: — თავის დასაცავად.
პროკურორი: — საკმარისია. მე ბრალდებულისაგან მეტი არაფერი მესაჭიროება.

მაკრიდისმა სასამართლოში განაცხადა, მცემდნენ და წყალს არ მაძლევდნენო. თუმცა არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს ლადასის საქმესთან, სთქვა მან, მაგრამ მე ვიცი, რა ბედიც მომელის — მე მომკლავენ პოლიტიკური შეხედულებისათვის, იმისათვის, რომ ვიცავდი იმ მშრომელთა ინტერესებს, რომლებიც საბერძნეთში მასობრივად შიმშილობენ.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მიესალმება კლემენტ გოტვალდის პრეზიდენტად არჩევას

პრაღა, 24 ივნისი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს ეწვია ხელოსანთა ცენტრალური საბჭოს და ვაჭრობის ცენტრალური საბჭოს დელეგაცია, რომელმაც 400 ათასი ხელოსნის, შინამრეწველის, ვაჭრის, აგრეთვე რესტორან-სასტუმროების მოსამსახურეთა სახელით თავისი კმაყოფილება განუცხადა კლემენტ გოტვალდს იმის გამო, რომ იგი სახელმწიფოს მეთაურად იქნა არჩეული რესპუბლიკისათვის ფრიად მნიშვნელოვან მომენტში. დელეგაციამ გოტვალდს განუცხადა, რომ იგი მთელ ხალხს მიაჩნია ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დიადი ეროვნული ტრადიციების ღირსეულ მემკვიდრედ და განმგრძობად. დელეგაციამ მისასალმებელი ადრესი გადასცა გოტვალდს.

ნეკროლოგი

ა. დ. მამულაშვილი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე დავითის-ძე მამულაშვილი.

იგი დაიბადა 1890 წელს ქ. თბილისში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში.

1911 წელს ამხ. ა. მამულაშვილმა ქ. თბილისში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1912 წელს ოჯახის ხელმოკლეობის მიუხედავად მოახერხა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლა. 1916 წელს ავადმყოფობის გამო ბრუნდება საქართველოში და 1924 წლამდე მუშაობს სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციაში.

1924 წლიდან ამხ. ალ. მამულაშვილი მასწავლებლად იწყებს მუშაობას თელავის საშუალო სკოლაში. იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს და კარგი სახელი დაიმსახურა.

1938 წლიდან ამხ. ალ. მამულაშვილი მუშაობდა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად. იგი ამ მუზეუმის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. მან ბევრი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი შესძინა მუზეუმს. ამხ. მამულაშვილმა მუზეუმში მუშაობის დროს გამოაქვეყნა საინტერესო შრომები: „გრემის სარწყავი არხი“, „კახეთის ძველი აბანოები“, „იყალთოს აკადემია“ და სხვ. ამასთან იგი რაიონის კოლმეურნეობებში ეწეოდა ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, რისთვისაც სამართლიანად დაიმსახურა კოლმეურნეთა სიყვარული და პატივისცემა. ამხ. ალ. მამულაშვილი დაჯილდოებული იყო მედლით: „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“ და სამკერდე ნიშნით—„სახალხო განათლების წარჩინებული“.

ამხ. ალექსანდრე მამულაშვილის, როგორც კარგი საზოგადოებრივი მუშაკისა და პედაგოგის სახელი დიდხანს დარჩება ამხანაგების ხსოვნაში.

ვ. ხატიაშვილი, ნ. ბოკუჩავა, ი. ახვლედიანი, პ. კიკნაძე, მ. მემარნიშვილი, ზ. მუჩიაშვილი, ა. კაკულია, თ. კოსტანაშვილი, ს. სიმონიშვილი, ნ. ბადრიაშვილი, გ. ყარაულაშვილი, პ. გოგოლაშვილი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების („ვვს“) და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

თამაშის პირველ ნახევარში ორივე გუნდმა თითო ბურთი გაიტანა. მეორე ნახევარში თბილისელებმა გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი და მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:1.

* * *

24 ივნისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე თამაშობდნენ მოსკოვის გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“. მატჩი მოიგეს დინამოელებმა დიდი ანგარიშით — 7:0.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს მორიგ მიღებას საკანდიდატო ასპირანტურაში აკადემიის ქვემოთ დასახელებულ დაწესებულებებში შემდეგ სპეციალობაზე:

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8) — არქეოლოგიაში.

აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8)—ქართველურ ენებში.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8) — საბჭოთა ლიტერატურაში.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (ცეცხოველის, 10) — ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ფილოსოფიის ინსტიტუტში (რუსთაველის პროსპ., 33/35) — ლოგიკის, ფილოსოფიის ისტორიისა და დიალექტიკური მატერიალიზმის სპეციალობებში.

ეკონომიკის ინსტიტუტში (რუსთაველის პროსპ. 33/35) — პოლიტეკონომიაში.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტში (ჯავახიშვილის, 1) — ფსიქოპათოლოგიაში.

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8) — მათემატიკაში.

გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში (მარის, 1) — გეოლოგიაში.

ქიმიის ინსტიტუტში (კამოს, 34) — ფიზიკურ-კოლოიდურ ქიმიაში.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში (მარის, 1) — გეომორფოლოგიაში.

ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8) — ექსპერიმენტულ ფიზიკაში.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (აბასთუმანი, მთა ყანობილი) — ასტროფიზიკაში.

ბოტანიკის ინსტიტუტში (კოჯრის გზატკეცილი) — მცენარეთა ფიზიოლოგიაში.

სოხუმის ბოტანიკურ ბაღში (ქ. სოხუმი, რუსთაველის, 2) — მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციაში.

ტყის ინსტიტუტში (მარის, 68) — მეტყევეობაში.

მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში (ქ. თელავი) — მევენახეობაში.

მემინდვრეობის ინსტიტუტში (გარდაბანი) — მემინდვრეობაში.

სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში (ს სკრა) — მეხილეობაში.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში (კამოს, 34) — ლითონთა რენტგენოგრაფიის, მეტალურგიის, ელექტროქიმიისა და სამთო საქმის სპეციალობებში.

ენერგეტიკის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8) — ელექტროტექნიკაში.

საამშენებლო საქმის ინსტიტუტში (ბარათაშვილის, 8) — კომუნალური მეურნეობის სპეციალობაში.

ზოოლოგიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის, 8) — ორნიტოლოგიასა და მამალოგიაში.

კლინიკურ და ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში (კამოს, 51) — ანტროპოლოგიასა და პათოლოგიურ ანატომიაში.

აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (მარის, 1) — ზოგად ფიზიოლოგიაში.

ექსპერიმენტული და კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტში (პლეხანოვის პროსპ., 60) — ბიოქიმიაში.

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში (კამოს, 43) — ჰემატოლოგიაში.

შინაგან სნეულებათა სპეციალობაში (ძერჟინსკის, 8).
მიკრობიოლოგიაში (ძერჟინსკის, 8).

ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემოტანილ განცხადებას ასპირანტურაში მიღების შესახებ თან უნდა დაერთოს ორ-ორი ცალად:

ა) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი; ბ) ავტობიოგრაფია; გ) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ; დ) დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან ან უმაღლესი სასწავლებლიდან; ე) სამეცნიერო ნაშრომები, დაბეჭდილი ან ხელნაწერი (უკეთუ ასეთი აქვს); ვ) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, შევსებული; ზ) შემოწმებული სამი ფოტოსურათი და თ) წერილობითი ნაშრომი (რეფერატი) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემომსვლელს უნდა ჰქონდეს დასრულებული უმაღლესი სასწავლებელი არჩეული სპეციალობით. გარდა ამისა, მან უნდა ჩააბაროს გამოცდები (საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში) შემდეგ საგნებში: ა) სპეციალურ დისციპლინაში; ბ) დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში; გ) რუსულ ენასა და დ) ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება მიიღება ამა წლის 10 სექტემბრამდე; გამოცდები ჩატარდება 15 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე; ასპირანტურაში ჩარიცხვა მოხდება 1 ოქტომბრიდან.

ასპირანტურაში ჩარიცხვის პირობების შესახებ ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტში და აგრეთვე აკადემიის კადრების განყოფილებაში (ძერჟინსკის. 8. ტელ. 3-64-22).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 6 ივლისს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **აკაკი კონსტანტინეს-ძე ბაწელია** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. **კეკელიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ს. ყაუხჩიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

ოლია ხვედელიძე ოჯახით, შვილები ქორა, მაკრინე, მაშო და ელენე ოჯახებით იუწყებიან, რომ 27-VI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ირინე ნიკოლოზის ასულ ხვედელიძის** პანაშვიდი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაიონული განყოფილებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან მუზეუმის დირექტორის **ალექსანდრე დავითის-ძე მამულაშვილის** გარდაცვალებას.

სარდიონ, ძაბულია, ემილი, აბესალომ და ლიანა ხაინდრავები იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე კუციავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VI, 3 ს. ობოლაძის, 8.

მეუღლე ელენე დევიძე-მდივანი შვილით თემურით, სამსონ და ატატო დევიძეები იუწყებიან, რომ 27-VI, 6½ ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება **გრიგოლ ბარნაბის-ძე მდივანის** პანაშვიდი.

შვილები ლინა და გივი მგალობლიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ 27-VI, 2½ ს. დიდუბის პანთეონში შესდგება **მარიამ დიმიტრის ასულ მგალობლიშვილის** პანაშვიდი.

ცობო, ვარლამ, რუსუდან, ირინე, შოთა და კაკო ძიძიგურები იუწყებიან **საშა (ალექსანდრა) ძიძიგურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-VI, 6 ს. ლენინის, 52.

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექცია, პარტორგანიზაცია და თანამშრომლები იუწყებიან თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის **ალექსანდრე დავითის-ძე მამულაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ქეთევან სიმონის ასულ შარაძენიძის** გარდაცვალებას.

პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე კომბინატის ძველი მუშა-ამკინძავის **თამარ ივანეს ასულ გიორგობიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-VI, 8 ს. გამოსვენება 27-VI, … ს. გრიბოედოვის, 19.

საქართველოს რესპუბლიკის მილიციის სამართველოს თანამშრომლები იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ გიორგობიანის** გარდაცვალებას.

შვილები მარიამ, ალექსანდრა, ანა, ნინო, ლუბა, ვალოდია, აკაკი ოჯახებით იუწყებიან, რომ 27-VI. 7 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება **ტერეზია ფირანის ასულ და კონდრატი მარკოზის-ძე სოხაძეების** პანაშვიდი.

შვილები რაფაელ, ბაბილინა, ლიუცია, ანა, ვერა, შალვა, აგრაფინა, ლონგინოზ, დარუმა, გუგულა ოჯახებით იუწყებიან **სალომე ხულას ასულ დვალის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-VI, 6 ს. კალინინის, 56.

ამირან გაბესკირია, ვალოდია ქვარცხავა, გიგლა მებუკე იუწყებიან **ალექსანდრა (საშა) ძიძიგურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-VI, 6 ს. ლენინის, 52.

მეუღლე მაკუ, შვილები ალიოშა, ბიჭიკო და თამარ ოჯახით იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე კუციავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-VI, 8 ს. გამოსვენება 27-VI, 3 ს. ობოლაძის, 8.

ნ. ახვლედიანი, ნ. ნიშნიანიძე, თ. ქანიშვილი, ქ. გამცემლიძე, ს. არობიძე, დ. დათეშაშვილი, მ. ქელეხსაშვილი, ს. ნოზაკაშვილი, ა. ჩქოლუდკოვა, ნ. ფირცხელავა, ვ. იარომენკო იუწყებიან **ქეთო შარაძენიძის** გარდაცვალებას.

დედა ვარვარა, მეუღლე ეთერ პერუაშვილი, შვილი ლუარა, ი. ყანდაშვილი, ვ. დულაშვილი, ე. ჩორგოლაშვილი იუწყებიან, რომ 27-VI, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება **იოსებ სერგოს-ძე ყანდაშვილის** პანაშვიდი.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 09689